ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲤᲐ-63

წითელი სხივი

№ 6-7-8

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი:

1. ვინ არის პიონერი ლენინელები და რისთვის ემზადებიან ისინი,—**მარიამ ორახელაშვილისა** 1
2. ბავშთა კვირა. 2
3. 14 სექტემბერი მშრომელ ახალგაზრდობის უქმეა—**ბიჭიკოსი** 3
4. ბავშთა კომუნისტური ჯგუფები საზღვარ გარედ . . . 4
5. ბრძოლის ველზე, — საბავშო სიმღერა — მუსიკა **შ. თაქთაქიშვილისა** 6
6. ზაფხული,—ლექსი **ვ. რუხაძისა** 7
7. ობოლიტიტიკო, **პ. ტფილელისა** . . . . . } 12
8. წყარო,—ლექსი—**სანელისა** . . . . . }
9. სიცოცხლე გამარჯვებისათვის,—მ. გორკისა—თარგმანი **დანისა** 13
10. შავი მგელი,—ზღაპარი-პიესა სამ მოქმედებად, დასასრული, **დ. ნახუცრიშვილისა** 14
11. მყინვარ-წვერზე ასვლა, დასასრული--**მ. ბეჟანაშვილისა**. 17
12. სიმართლიანი შურისძიება—**ნიკორაძი** 29
13. ბიბლიოგრაფია 32
14. **რედაქციისაგან**, ... 33
15. გასართობი 34

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ტფილისი
899.962.1(05)
წ-63.

ცოცხალი ცხოვრება...

1924 | განათლების სახალხო კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმართველობის და ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალ. კომიტ. ჟურნალი ბავშვებისათვის. | წელიწადი 1

ივნისი-ივლისი-აგვისტო № 6—7—8

ვინ არიან პიონერი-ლენინელები და რისთვის ემზადებიან ისინი

ლენინელმა იცის, რომ ბავშთა კომუნისტური ჯგუფები—არის მოზარდი თაობის აღზრდის ახალი ორგანიზაციული ფორმა, რომელიც ამზადებს ბავშებს მომავალ საპასუხისმგებლო მუშაობისათვის, უსაზღვრო სიყვარული და ერთგულობა მუშათა კლასისადმი და სასტიკი მძულვარება ყველაფერ იმისადმი, რაც ხელს უშლის პროლეტარიატის გამარჯვებას, უნდა ასულდგმულებდეს ბავშთა კომუნისტურ ჯგუფების მთელ საქმიანობას.

მსოფლიო გაყოფილია ორ ბანაკად—ერთ ბანაკშია—პროლეტარიატი და მისი ბავშები; ხოლო მეორეში მათი მჩაგვრელი—კაპიტალისტები.

ლენინელები მეგობრებია პირველთა და მებრძოლი მათი ინტერესებისათვის და შეურიგებელი მტრები მეორეთა.

ლენინელთა ორგანიზაცია გამსჭვალულია საერთაშორისო სოლიდარობის იდეით, მას ახსოვს კაპიტალისტურ ქვეყნებში თავისი ძმები, იცის მათი ცხოვრება, ტანჯვა და მზადაა ყოველთვის დაეხმაროს მათ.

ამისათვის პიონერი ლენინელები მუშაობენ თავის აღზრდისათვის თავიანთ **წინამძღოლების—კომკავშირელების** დახმარებით, რათა გახდენ კომუნისტებად, მებრძოლებად, განთავისუფლდენ ბურჟუაზიულ იდეოლოგიის კლასიურ შხამისაგან, განდევნონ თავის ბავშურ შეგნებიდან ეგოისტური ელემენტები. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ორგანიზაციაში, კოლექტივში ცხოვრებით და მუშაობით.

პიონერს **ახსოვს ბავშვთა საუკეთესო მეგობრის და მთელი მშრომელი კაცობრიობის დიდი ბელადის ლენინის ყველა აღთქმანი და, პირველ ყოვლისა იცის ეს აღთქმა: ისწავლოს, ისწავლოს, და ისწავლოს.** ის თვის ამოცანად ისახავს „გაღრღნას მეცნიერება თავისი ახალგაზრდური კბილებით და შეისწავლოს კომუნიზმი, ე. ი. შეიძინოს ის, რაც შექმნილი იყო ადამიანის აზრით, გამოცდილებით და ცოდნის ჩირაღდანით წავიდეს ახალ, სასიხარულო ცხოვრების ასაშენებლად.“

პიონერი ქმნის ახალ ცხოვრებას; ამისათვის ის მზადაა შეებრძოლოს ყველაფერს, რაც მას წინ ეღობება: ოჯახს (თუ იგი მას ხელს უშლის), სარწმუნოებას, უკულტურობას, ცრუმორწმუნეობას, თამბაქოს წევას, გინებას; ის იცავს ლაპარაკის სიწმინდეს, თავის სუსტ და უმცროს ამხანაგებისადმი თანასწორ და კარგ მოპყრობას. პიონერი ირჩევს ისეთ წიგნებს საკითხავად, ისეთ სათამაშოებს, ისეთ გასართობებს, სპორტს და მეცადინეობას, რომელიც ფიზიკურად აჯანსაღებს მას, ანვითარებს მასში კოლექტიურ ჩვეულებებს და ამუშავებს მასში მტკიცე ნებისყოფას, სიმამაცეს, გამბედაობას, სამართლიანობას და დისციპლინას.

პიონერი მტერია მედიდურობის, უაზრო სიმკაცრობის, უხეშად მოპყრობის, აზარტის.

ლენინელი მუშაობს არა მარტო ბავშთა კომუნისტურ ჯგუფებში ყველა მუშათა და ღარიბ გლეხთა ბავშების გასაერთიანებლად, არამედ ის მთელი თავისი **ახალგაზრდური** ენერგიით მუშაობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისათვის, რათა პროლეტარიატის კლასიურ მტერს —ბურჟუაზიას, **ხელიდან გამოსტაცოს მისი ბავშვები** და **აღზარდოს ისინი მებრძოლებად კომუნისტურ საზოგადოებისათვის.**

ლენინელი თანდათან იპყრობს სასკოლო ჰასაკის ბავშვებს, შეაქვს სკოლაში კომუნისტური სული და აქცევს მას ახალ ცხოვრების მშენებელთა აღზრდის ორგანიზაციად.

ლენინელი არც ერთი წუთით არ **ივიწყებს უპატრონო ბავშვებს**, ის იზიდავს მათ ბავშთა კომუნისტურ ჯგუფებში, ეწევა მათში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას, თვითონ ეწერება „ბავშვების მეგობართა“ საზოგადოებაში და ეწევა აგიტაციას მის სასარგებლოდ და ამით დახმარებას უწევს საბჭოთა რესპუბლიკას უპატრონო ბავშვისათვის არა მოწყალების მიცემით, არამედ უპატრონო ბავშთა ჯანსაღ შრომაზე დამყარებულ ცხოვრების ორგანიზაციით.

ლენინელებმა იციან, რომ ახალგაზრდა ლენინელთა სახელოვანმა კომუნისტურმა კავშირმა ლენინელ ბავშთა კომუნისტურ ჯგუფის საშუალებით უნდა შემატოს მორიგი რეზერვები პროლეტარულ რევოლიუციის არმიას.

ლენინელებმა ეს იციან, ისინი ემზადებიან ამისათვის და კიდეც იქნებიან მზად!

მარიამ ორახელაშვილი.

ბავშთა კვირა[1]

საქართველოს პროლეტარულ ბავშებს, რომელნიც დარაზმული არიან ლენინის სახელობის ბავშთა კომუნისტურ ორგანიზაციებში, წელს პირველად უხდებათ მონაწილეობის მიღება საერთაშორისო დღესასწაულში.

7—14-ამდე საქართველოს ბავშთა კომუნისტური ორგანიზაცია უნდა დაირაზმოს ინტერნაციონალური დროშის ქვეშ. ამ კვირის განმავლობაში თვითეულ ბავშს უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ის მარტო არ არის ბრძოლაში, რომ მას გვერდში უდგას დასავლეთის პროლეტარული ბავშობა. საქართველოს მუშებისა და გლეხების შვილებმა უნდა შეიგნონ თავისი მოვალეობა—მათი ძმებისა და მეგობრების, დასავლეთის და მეზობელ რესპუბლიკების ახალგაზრდა პიონერების წინაშე.

წელს პირველად ტარდება ეს კვირა მთელს მსოფლიოში; ამიტომ საჭიროა პირველ ამოცანად დაისვას ინტერნაციონალური გრძნობის გაღვივება მათში. პირველად ბავშმა უნდა იგრძნოს ურთიერთ კავშირის, საერთო გამოსვლის, ხელიხელ ჩაკიდებული ბრძოლის და მუშაობის მნიშვნელობა.

თუ ეს უსპეტაკესი გრძნობა არ სჩანს, ძნელია მათი მუშათა კლასის საკეთილდღეო საქმისათვის აღზრდა; მათი იმ გზით წაყვანა, რომლითაც მიდის მუშათა კლასი და კომკავშირი.

ლენინმა ჩვენს კავშირს დაუტოვა ანდერძი, რომელიც ამბობს, რომ **ბავშთა აღზრდა შეგნებული, დისციპლინარული სულით—ეს თავდაპირველად კომკავშირის მოვალეობაა.**

ლენინის ანდერძი არც ერთმა კომკავშირელმა არ უნდა დაივიწყოს.

ჩვენ უნდა შეკვსძლოთ ბავშთა აღზრდა, მათი დარაზმვა ლენინიზმის იდეების გარშემო; ბავშთა კვირამ საფუძველი უნდა ჩაუყაროს ლენინიზმის იდეების პროლეტარულ ბავშთა შორის გავრცელებას. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველმა ბავშმა, რომელიც იმყოფება ბ. კ. ორგანიზაციაში, შეგნებულად სთქვას: **ლენინი—ჩვენი დროშაა, მტკიცედ ვივლით ლენინის გზით.**

„ბავშთა კვირა“ არის ლენინისადმი სიყვარულის, მისდამი პატივისცემის, მასდამი პასუხისმგებლობის გრძნობის ჩანერგვის კვირა—პროლეტარულ ბავშთა შორის.

„ბავშთა კვირა“ არის—მუშათა კლასის საქმისადმი მოვალეობის შეგნების გრძნობის გაღვივების და აღზრდის კვირა—მუშებისა და გლეხების ბავშების შორის.

„ბავშთა კვირა“ არის საერთაშორისო ბავშთა სოლიდარობის, მტკიცე, ერთგული შეკავშირების დღეები.

„ბავშთა კვირამ“ ყველა პროლეტარულ ბავშებში უნდა გაალვიძოს—მისი თანამოძმე, მებრძოლ პროლეტარულ ბავშებისადმი—უმწიკვლო სიყვარული. უდიდესი თანაგრძნობა უპატრონო ბავშებისადმი, ჩაგრულ ბავშებისადმი, უდიდესი სურვილის აღძვრა მათ დასახმარებლად—აი რას უნდა ემსახურებოდეს ბავშთა კვირა.

ნორჩო პიონერებო, ბავშთა კვირა გავალებთ მუშათა კლასის, მსოფლიო პროლეტარული ბავშებისა და კომკავშირისადმი ერთგულებას. იყავით მზად ამ საქმისათვის.

[1]) გაზ. „სპარტაკიდან.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

14 სექტემბერი მშრომელ ახალგაზრდობის უქმეა

გაბატონებული კლასის—ბურჟუაზიის გაუმაძღრობამ გამოიწვია ის ჯერ უნახავი სისხლის მღვრელი ომები, რომელიც 1914 წლიდან 1918 წლამდე გრძელდებოდა.

გაბატონებულ კლასს აღარ აკმაყოფილებდა ის ნაგლეჯ-ნაცარცვი ქონება, რომელიც მას თავის ქვეყნებში ეშოვა, მას აღარ აკმაყოფილებდა თავისი ქვეყნის ბაზრები და ამიტომ იყო, რომ მიისწრაფოდა სხვა ქვეყნების დასაპყრობად, სხვა ქვეყნების მშრომელი მასსის დასატანჯავად.

ამ გაუმაძღრობამ განვითარების უმწვერვალეს წერტილს მიაღწია 1914 წელს. ევროპის დიდ ქვეყნებს შორის დაიწყო ოთხწლიანი სისხლის ღვრა, ქალაქები აივსო ჯარებით, ქუჩები მოფენილი იყო ახალგაზრდობით, რომლებიც ჯარში მიჰყავდათ. დაიწყო იარაღების შეუჩერებელი კეთება და ასაფეთქებელ ნივთიერებათა მზადება. ერთი სიტყვით მეომარი ქვეყნები—ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, გერმანია, ავსტრია, ოსმალეთი და სხვა—ემზადებოდენ ამისათვის და ამ ომისათვის მზადებას, ესე იგი მილიტარიზმს, ხელმძღვანელობდა გაბატონებულთა ბურჟუაზიული სახელმწიფოები.

მალე გაისმა ზარბაზნების, ტყვიების და აფეთქების პირველი გრიალი, ამუშავდა ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველები, სისხლით ირწყებოდა მინდვრები; გმინავდა მუშათა კლასი თავის გაათკეცებულ ტანჯვაში.

და ამ სისხლის ღვრის დაწყებისას გამყიდველური როლი ითამაშა მუშათა კლასის ზოგიერთმა ბელადებმა, რომელიც ხელმძღვანელობდენ მუშათა კლასის საერთაშორისო გაერთიანებას—მეორე ინტერნაციონალს.

მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა ბურჟუაზიისაგან მოსყიდვით უკარნახეს მშრომელ კლასს ამ სისხლის მღვრელ სასაკლაოზე თავი შეეწირათ და მუშათა კლასის ბრმა ნაწილი მიჰყვებოდა თავისი ბელადების რჩევას.

მაგრამ იყო მუშათა კლასში შეგნებული ნაწილი და ამ ნაწილს ჰყავდა თავისი ბელადები: როგორც ლენინი, კ. ლიბკნეხტი და სხვ.

მთელი სიმძიმე ომისა მუშათა ახალგაზრდობის ზურგზე გადადიოდა. მუშათა ახალგაზრდობას ერეკებოდენ ომებში, როგორც ძლიერს და ენერგიით აღსავსე ახალგაზრდებს, მათი საშუალებით ომობდენ შეძლებულნი თავიანთ ინტერესების დასაცავად.

მაგრამ იყო ამ ახალგაზრდობაშიაც შეგნებული ელემენტები; ეს იყო სოციალისტურად მოაზროვნე ახალგაზრდობა, რომელიც გამოეყო თავიანთ გამყიდველ ბელადებს და **ხმამაღლივ კარლ ლიბკნეხტთან** და **ვლადიმერ ლენინთან ერთად სასტიკი პროტესტი განაცხადეს მცარცველურ დაპყრობითი (იმპერიალისტური) ომის წინააღმდეგ, მათ გადაჭრით „ომს ომი" გამოუცხადეს** და დაიწყეს აშკარა და ენერგიული (აქტიური) **ბრძოლა მილიტარიზმის** (ესე იგი **საომარ მზადების**) **და იმპერიალიზმის** (ესე იგი მცარცველურ დაპყრობით ომების) წინააღმდეგ.

მებრძოლთ შეკავშირება მთლიან კავშირში აძლიერებს ძალებს. ამიტომ იყო, რომ 1915 წელს, ესე იგი ომის დაწყების ერთი წლის შემდეგ, ახალგაზრდობის სოციალისტურად მოაზროვნე ნაწილმა შვეიცარიის ქალაქ ბერნში მოიწვია საერთაშორისო ახალგაზრდათა გაერთიანების (ინტერნაციონალის) კონგრესი, სადაც მან პირველად განაცხადა—შეკავშირებული ძალით—პროტესტი ომის წინააღმდეგ.

და აი რას ამბობდენ თავის დადგენილებებში ეს ახალგაზრდა სოციალისტები:

„საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია, რომელიც შესდგა 5-6 აპრილს 1915 წელს ათი ქვეყნის წარმომადგენელთა თანდასწრებით, ადასტურებს დადგენილებებს საერთაშორისო სოციალისტურ ახალგაზრდობის კონფერენციებისა, რომლებიც შესდგენ შტუდგარტში, კოპენჰაგენში და ბაზელში, რომლითაც მოუწოდებდენ მშრომელ ახალგაზრდობას მთელი ქვეყნისას—ბრძოლისაკენ, წინააღმდეგ სისხლის-მღვრელ ომებისა და მილიტარიზმისა.

კონფერენცია ღრმა მწუხარებით აღნიშნავს, **რომ როგორც სოციალისტური ორგანიზაციები უფროსების, ისე სოციალისტური ორგანიზაციები ახალგაზრდობისა,** უმრავლეს ქვეყნებში, ომის წარმოშობისას, არ მოქმედობდენ **თანახმად** ზემოაღნიშნული **დადგენილებებისა.**"

ასე სწერდა მაშინდელ დადგენილებებში ეს

ინტერნაციონალი და ამავე დადგენილებებში იყო სათავე იმ დიადი დამნიშვნელოვანი უქმის დაარსებისა, რომელსაც ჩვენ 14 **სექტემბერს** ვუქმობთ და ვუქმობდით.

ამ ყრილობამ საჭიროდ სცნო, რათა ახალგაზრდობას აერჩია ერთი დღე, როცა მშრომელი ახალგაზრდობა აჩვენებდა მსოფლიოს თავის ძლიერებას და მომზადებას, გაბედულობას და ბრძოლისათვის თავდადებას.

ახალგაზრდობის ინტერნაციონალს მაშინ ხელმძღვანელობდენ: მიუნცენბერგი, ოლაუხენი, ხრისტიანსენი, ნოტკი, კატენეზი, და აი, ამ ამხანაგების ხელმძღვანელობით და წინადადებით დაადგინეს: ეუქმათ წელიწადში ერთი დღე და მოეხდინათ მშრომელი ახალგაზრდობის ძალების დემონსტრაცია.

მას შემდეგ ყოველ წელს უქმობენ ამ დღეს.

პირველად ეს დღე იუქმეს 1915 წელს 3 სექტემბერს. დიდის აღფრთოვანებით ჩაისახა ეს უქმე— პროტესტისა, ომის და მილიტარიზმის წინააღმდეგ, ამერიკაში, გერმანიაში, შვეიცარიაში და სხვაგან.

უფრო გაძლიერდა ეს დემონსტრაციები 1916 წელს, რადგან საშინელი ომის მსხვერპლთა უამრავი რიცხვი უკვე აშკარად ევლინებოდა ევროპას; ძლიერ საგრძნობი იყო ამ მსხვერპლთა რაოდენობა ახალგაზრდობისათვის და ამიტომ იყო, რომ ახალგაზრდობა განსაკუთრებული ძალით ებრძოდა ომს, ამიტომ იყო რომ ახალგაზრდობა პირველი გაჰყვა ლენინის და ლიბკნეხტის მოწოდებას, რათა მტაცებლური ომი გადაექციათ ომად და ბრძოლად გაბატონებულ ბურჟუაზიის ჩამოსაგდებად.

მსოფლიო მტაცებლური ომი მუშათა კლასმა უნდა გადააქციოს სამოქალაქო ომად, ასეთი იყო მოწოდება ლენინის, ლიბკნეხტისა და მას თამამად მიჰყვებოდა რევოლიუციონური ახალგაზრდობა.

სულ ახალი და ახალი მიზნებით იმართებოდა შემდეგ წლებში ახალგაზრდობის დემონსტრაციები (გამოსვლები): მაგალითად 1917 წელს ახალგაზრდობის მიზანი იყო, რათა მოესპო ძალდატანებითი ზავები, რომლის ძალით დამარცხებულ სახელმწიფოებს კონტრიბუცია, ანუ გადასახადი უნდა ეხადათ გამარჯვებულებისათვის.

და ახლაც, ომის ათი წლის შემდეგ, მსოფლიო მშრომელი ახალგაზრდობა და მასთან ერთად ჩვენი საქართველოს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა **ვუქმობთ** ამ დღეს —**ორ სექტემბერს, სულ ახალ-ახალი მიზნების დასახვით, ომის წინააღმდეგ, კაცობრიობის გასაბედნიერებლად და ჩაგრულ მშრომელთათვას სანატრელ ხელისუფლების დასამყარებლად.**

ბიჭიკო.



გერმანია

დასავლეთ ევროპის ბავშთა კომჯგუფებს შორის ყველაზე უფრო მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული მუშაობა გერმანიაში. გერმანიის ბავშთა კომჯგუფები აერთიანებს 30—40 ათას ბავშს. მათ აქვთ საკუთარი ჟურნალი—„ახალგაზრდა ამხანაგი," რომლის ტირაჟი 30 ათასს ცალამდე აღწევს. დღემდე გერმანიის ბავშთა ორგანიზაციები მოკლებული იყო სწორ და გეგმიან მუშაობას. ეს თითქმის საერთო ნაკლია დასავლეთ ევროპის ბ. კ. ჯ. ყველა ორგანიზაციების.

კომუნისტურ ორგანიზაციების ლეგალიზაციის შემდეგ ეს ნაკლიც დაძლეულია. ბ. კ. ჯ. მთელ თავიანთ ძალ-ღონეს ახმარენ იმ მოსამზადებელ მუშაობას, რომელსაც მოითხოვს გერმანიის პროლეტარული რევოლიუცია.

მთელი მათი მუშაობა შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნას შემდეგ მუხლებში:

1. პოლიტიკური მომზადება სხვადასხვა კამპანიების ჩასატარებლად.

2. მონაწილეობის მიღება მუშებისა და ახალგ. მუშების გამოსვლებში ბურჟუაზიულ მთავრობების წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. კომუნისტური იდეების პროპაგანდა მუშათა და მოზრდილთა შორის.

გერმანიაში ძველი ცნობების მიხედვით ამ ჟამად არსებობს 300 ბავშთა ჯგუფი, რომელნიც აერთიანებენ 30,000 ახალგაზრდა კომუნარს, გერმანიის ბავშთა ჯგუფები ბეჭდავენ ყოველკვირეულ დიდ გაზეთს **„ახალგაზრდა ამხანაგს“**.

1922 წ. სექტემბერში ბერლინში შესდგა პირველი საერთაშორისო კონფერენცია ბ. კ. ჯ. ხელმძღვანელებისა, რომელზედაც დაესწრო წარმომადგენლები თითქმის ყველა ქვეყნებიდან. ასე ჩაეყარა საფუძველი ბავშთა კომუნისტურ ინტერნაციონალს.

ინგლისი

ბ. კ. ჯ. პირველად აღმოცენდა ინგლისში 1922 წელს, თუმცა მათი რიცხვი არც ისე დიდია (900-1000 ბავში), მაგრამ მუშაობა მათში სწორი გზით სწარმოებს.

დიდ ბრიტანეთის ა. კ. კ. მეორე ყრილობამ ბ. კ. ჯ. საკითხში მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია: ბავშთა კომუნისტურ ჯგუფების დაარსებას მიზნად აქვს ბავშთა ჩაბმა კლასიურ ბრძოლაში და მათი აღზრდა კომუნისტურ მსოფლმხედველობის საფუძველზე. ისინი აწარმოებენ ბრძოლას აგრეთვე სასკოლო რეაქციის წინააღმდეგ და აგრეთვე ბავშთა შრომის შემოღების წინააღმდეგაც. ბ. კ. ჯგუფებს აგრეთვე აქვთ თავიანთი გაზეთი.

ბავშთა მოძრაობა ინგლისში წარმოიშვა გერმანიის ბავშთა მოძრაობასთან ერთდროულად.

აქ მუშათა ბავშები, რომელთაც არ სურდათ ჩაბმულიყვენ ბოი-სკოტიულ ორგანიზაციებში, კვირაობით რევოლუციონურ მუშაობის საწარმოებლად იკრიბებოდენ.

ინგლისში ახლა ჩვენი ჯგუფების რიგებში რამდენიმე ათასი ახალგაზრდა კომუნარი ითვლება

ამერიკა

ამერიკაში ბავშთა კომ. ჯგუფებს, ანუ როგორც უწოდებენ მას ამერიკაში „მუშათა ახალგაზრდობის ნორჩ სექციას,“ სააფუძველი ჩაეყარა ამერიკის კომკავშირის მე-2 ყრილობის შემდეგ, რომელიც შესდგა 1923 წ. ბ. კ. ჯ. აქვთ საკუთარი გაზეთი, ბავშთა ორგანიზაცია აერთიანებს 3.000 ბავშს. ორგანიზაციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის მთლიანად რევოლიუციონურადაა განწყობილი და ატარებს მებრძოლ ხასიათს. ოქტომბრის ამბების დროს გერმანიაში ისინი აწარმოებდენ ენერგიულ ბრძოლას იმის წინააღმდეგ, რათა ჩრდილოეთის შეერთებული შტატები არ ჩარეულიყვენ გერმანიის რევოლიუციის ჩაქრობაში. ბ. კ. ჯ. ცენტრალურმა საბჭომ გამოუშვა მოწოდება ბავშთა ორგანიზაციების და პროლეტარულ ბავშების მიმართ, რომელშიაც მოუწოდებდა მათ საბრძოლველად, უკეთუ ამერიკის მთავრობა გაილაშქრებდა გერმანიის წინააღმდეგ. ამ მოწოდებას ამერიკის ყოველ კუთხიდან გამოეხმაურენ ბავშები და მათი მზრუნველები.

სკანდინავია

სკანდინავიის ორთავე ქვეყანაში—ნორვეგიაში და შვეციაში—ბ. კ. ჯ. მოძრაობა ატარებდა დღევანდლამდე განმაათლებელ ხასიათს. მათ ჰქონდათ მშვენივრად მოწყობილი თეატრი, მუსიკალური წრეები, რომლებმაც თავის განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. რაც შეეხება რევოლიუციონურ განწყობილების გაღვივებას ბავშთა შორის, ბავშთა ხელმძღვანელები გვერდს უხვევდენ ამას. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ხელმძღვანელები უმეტეს შემთხვევაში არ იყვენ კომუნისტები და მუშათა საქმეს არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ. მაგრამ ნორვეგიის კომკავშირის მე-18 ყრილობის შემდეგ, რომელიც შესდგა ა. წ. თებერვალში, ბ. კ. ჯ. მოძრაობის გეზი ძირიანად შეიცვალა. მას მიეცა განვითარების ახალი მიმართულება და ბ. კ. ჯ. ორგანიზაციების სახეც გადასხვაფერდა ახალი შინაარსის და მეთოდების მიხედვით.

ამჟამად შვეციისა და ნორვეგიის ბ. კ. ჯ. ითვლება 5.000 წევრი. მათ აქვთ საკუთარი ორგანო.

ნორვეგიაში ჩვენი ამხანაგები ითვლიან თავიანთ რიგებში 6.000 ბავშს. ბავშთა ჯგუფებს აქვთ აგრეთვე თავისი საკუთარი საბავშო გაზეთი.

ჩეხო-სლოვაკია

ბავშთა კომუნისტური მოძრაობა სწრაფი ტემპით ვითარდება და მშრომელთა მასების წინაშე დიდ პერსპექტივებს შლის. ამჟამად იქაურ ბავშთა ჯგუფებში 5000-მდე ბავში ითვლება.

საფრანგეთში

ბავშთა კომუნისტური ჯგუფები აერთიანებენ რამოდენიმე ათას ბავშს. ბავშთა ორგანიზაციები არსებობს საფრანგეთის ყველა უმთავრეს ქალაქებში. მათი ნიშანი ნამგალი და ჩაქუჩია.

ფინლიანდიაში

ბავშთა კომუნისტური მოძრაობა არსებობს 1920 წლიდან.

მრავალი ამ ბავშთაგანი მონაწილეობდა 1918 წ. პროლეტარული რევოლიუციის დროს წითელ არმიელთა ნაწილებში საკავშირო რაზმების სახით.

ფინლიანდიაში ამჟამად 100 მეტი ჯგუფია, რომლებშიაც გაერთიანებულია 6.000 წევრამდე.

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ[1]

სიტყ. ნ. ზომლეთელისა

Moderato con dolore.

ᲛᲣᲡ. Ш. ᲗᲐᲥᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ორ-ხმიანი გუნდი.

ᲒᲛᲘ - ᲔᲣᲚᲠᲝᲜ ᲮᲣ - ᲡᲐ, ᲨᲘᲥ - ᲠᲛᲐ ᲬᲐ - Ი - ᲚᲝ; ᲗᲕᲐ - ᲚᲘ ᲬᲐᲛ - ᲬᲐ - ᲠᲔᲑᲐᲛ - ᲗᲠᲘᲡᲚᲐ ᲛᲔ

ᲪᲘᲕᲡ ᲛᲘ - ᲓᲐ - ᲛᲝ - ᲛᲘ ᲥᲐᲠᲗᲡ ᲒᲐᲔ - ᲨᲚᲘ

ᲛᲘ ᲨᲔ - Ე - ᲙᲠᲐ ᲧᲘᲜ - ᲕᲐᲛ; Ო - ᲪᲜᲔ ᲑᲐ ᲛᲘ

ᲨᲐ - ᲕᲘ ᲤᲐ - ᲤᲐ ᲠᲘ... ᲓᲐ ᲘᲡ - ᲙᲘ ᲐᲛ

ᲡᲘ ᲡᲘ - ᲖᲛᲠᲘᲗᲨᲔ - ᲑᲝ - ᲥᲐ ᲨᲝᲠᲡ, ᲘᲥ... ᲡᲐ - ᲙᲣ -

ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐ - ᲠᲐ - ᲯᲐᲓ Ი - ᲓᲒᲐ ᲮᲘᲡ ᲫᲘᲠᲡ ᲔᲣ - ᲤᲝ -

ᲗᲐᲠ ᲥᲝ - ᲮᲘ - ᲡᲐ ᲮᲘᲚᲕᲐᲛ, ᲥᲝ - ᲮᲘ - ᲡᲐ ᲮᲘᲚᲕ

ᲕᲜᲐ ᲙᲐᲠ - ᲒᲘ ᲬᲐ - ᲤᲐ - ᲠᲘ. ᲙᲐᲠ - ᲒᲘ ᲬᲐ - ᲤᲐ -

ᲕᲐᲛ. Allegro.

Ო. ᲛᲝ - ᲮᲣ ᲪᲘ ᲓᲔ - ᲓᲐ, ᲧᲛᲐ ᲬᲕᲘᲚᲘ ᲪᲝ - ᲚᲘ

ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲝ - ᲚᲐᲗ ᲨᲘ - ᲨᲘ - ᲜᲔᲑᲡ ᲙᲔ - ᲠᲐ,

ᲓᲐ ᲛᲐ - ᲗᲘ ᲑᲐᲚᲚᲘᲪ, ᲗᲘᲗᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘ - ᲢᲕᲔ - ᲚᲐ.

ᲨᲣ - ᲛᲠᲘᲡᲮᲚ - Ო - ᲛᲘ - Ა ᲛᲐᲡ ᲘᲠ - ᲒᲕᲔᲠᲒᲕ ᲧᲕᲔ - ᲚᲐ,

Tempo I

Ო. ᲛᲧᲘᲡ ᲩᲐᲭ - ᲥᲠᲐ ᲙᲔ - - ᲠᲐ, ᲓᲐ - ᲑᲜᲔᲚᲘᲡᲐ ᲥᲝ -

ᲛᲐ - ᲒᲠᲐᲛ ᲩᲐ... Ა - ᲒᲔᲠ - ᲮᲔ - ᲖᲔᲓ ᲛᲘ ᲧᲠᲓᲜᲘ

ᲮᲨᲘ... ᲨᲝᲠᲡ ᲒᲐ - Ი - ᲤᲐᲜ - ᲢᲐ

ᲑᲘᲚᲘᲡ ᲬᲐ - Ა - ᲓᲒᲐ ᲕᲘ - ᲚᲐᲪ... ᲩᲐᲡ - ᲪᲐ ᲚᲐ - ᲮᲕᲐ - ᲠᲘ...

morendo

ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲡᲘᲢ ᲛᲠᲗᲑᲘ, ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲡᲘᲢ - ᲛᲠᲗᲑᲘ...

[1]) იმპერიალისტური ომის ათი წლის თავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაფხული

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ბიბლიოთეკა

ტ ფ ი ლ ი ს ი

ღღეს ზეიმი აქვს ზაფხულსა,
ფეხთ ქვეშ უგია ნოხები,
სტუმრად ჰყავს ხილთა სამეფო,
კოპწია ფერად ჩოხებით.

ხელიდან ხელში გადადის
ნექტარით სავსე ფიალა.
ნიავს ფერხული დაუბამს
და ტყე ტაშს უკრავს შრიალა.

მსხალს სახე აქარვებია
და ვაშლს უღვივის ლოყები.
გარს ეხვევიან ბავშები
ზოგი ქვით, ზოგი ჯოხებით.

ბროწეულს გახსნილ ბაგეთგან
მოუჩანს ლალის კბილები...
ვიშ, აგერ შვინდსაც რა რიგად
უხდება მარჯნის ღილები!

ღღეს ზეიმი აქვს ზაფხულსა,
ტანზე აუსხამს ლალები;
უცქერ და მისკენ მიილტვის
სული, გული და თვალები.

ვ. რუხაძე.

ობოლი ტიტიკო

ეებინდებული იყო. მატარებელი ქშენით უახლოვდებოდა ტყიბულის სადგურს. ორთქლმავალი გამეტებით გაჰკიოდა და დაუნდობლად არღვევდა გაზაფხულის საღამოს მყუდროებას. ცა მუქად გამოიყურებოდა. აქა-იქ ვარსკვლავები ციმციმებდენ. ახალი მთვარე ამოჰფარებოდა ლეჩაქივით თხელ ღრუბელს და პირბადე ახვეულს თითქოს ერიდებოდა სახის გამოჩენა. იმისი ნაზი სხივები ოდნავ აშუქებდა მაღალი მთის მწვერვალს, რომელსაც მიახლოვებოდა და ის-ის იყო გადაქანებას აპირებდა. მგზავრები ამ სურათს ვერ აშორებდენ თვალს. ვაგონების ფანჯრებიდან მოსჩანდა აქა-იქ სახლებში სინათლე. მგზავრები ჯგუფ-ჯგუფად ბაასობდენ. ყველაზე მეტად იპყრობდა ყურადღებას ერთი შეჭაღარავებული მგზავრი. მის ხალისიან თხრობას შემოეკრიბა გარშემო მსმენელების კარგა დიდი ჯგუფი.

— ოჰ, ოჰ, ოჰ, რა წვიმიანი მაისი იქნება!— მტკიცედ განაცხადა მოხუცმა ივანემ, გამოუშვა პირიდან ჩიბუხის მუქი კვამლი, დაისვა რბილ და თეთრ წვერზე ხელი, დაეყრდნო ცალი იღლიით ჯოხს და მთვარეს მიაჩერდა.

— შეხედე, შეხედე, როგორ ჩამოკიდებულა ახალი მთვარე, სწორედ დავლპებით წვიმით. ჰოდა, იმას ვამბობდი,—განაგრძო ივანემ,—მე მაშინ ჯერ მთლად ყმაწვილი ვიყავი, სულ რაღაც ოცდაოდე წლისა ვიქნებოდი. ახლა რომ მუშაობთ იოლ პირობებში, მაშინ კი ასე არ იყო. ვის გაეგონა მაშინ მუშის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. რა იყო 8 საათის სამუშაო დღე? ვინ იტეხდა ამაზე თავს? ჩვენი გლეხი ცოლიან-შვილიანად ამ ქვანახშირზე იყო გადაყოლილი და მაინც ტიტველი და მშიერი იყო. ახლა გადატანას არ იტყვით? ვინ იცოდა მაშინ რკინის გზა? ჩვენი ქედმაგარი ხარები იყვენ ერთავად გაბმულნი უღელში და გადაჰქონდათ ქვა-ნახშირი. ოჰ, ოჰ, ოჰ, რა ამბები იყო პირველად რომ შემოვიდა „მაშინა“ ტყიბულში! ეს 1886 წელს მოხდა. ჩვენ, ახალგაზრდებს, მანამდისაც გვენახა მატარებელი, მოხუცებულები კი მთლად გადარია ამ ამბავმა, ვერაფრით ვერ დააჯერებდით, რომ ეშმაკეული არ ამოძრავებდა „მაშინას.“ ამ დალოცვილმა რკინის გზამ ერთბაშად კი გამოაცოცხლა ტყიბულა. სულ რაღაც სამ-ოთხ წელში აუარებელი მაღაროები გაჩნდა და მუშა ხელმაც ერთი სამად იმატა.

— ასეა, ასე, ჩემო ივანე,—ჩაერია ლაპარაკში ბნელ კუთხეში მჯდომი ძველი მუშა გაბო.—არც ჩვენა ვართ სხვებზე ნაკლები, ჩვენც შეგვიძლია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარის გამრჯელობით და შრომის მოყვარეობით ავაყვავოთ ჩვენი ქვეყანა. რა არ შეუძლია მუშის ხელს? ხომ ნახე ქალაქის ქუჩებში როგორ იდღესასწაულა მუშამ პირველი მაისი. ვინც ასე ზეიმობს თავის ბრძოლის და გამარჯვების დღეს, იმას ვერაფერი გაუჩერდება წინ.

— ბილეთები, ბილეთები,—დაიძახა კონდუქტორმა, შემოაღო კარი და თავისი გამქვარტლული ხელის სანათი მიანათა ლაპარაკში გართულ მგზავრებს. ატეხილმა ხმაურობამ და კარების ჯახუნმა გამოაღვიძა ტიტიკოც, რომელსაც თავის მამის ლაპარაკში ტკბილად ჩასძინებოდა. ის ძილშიც ხედავდა მუშების მხიარულ სახეებს, წითელი დროშების ტყეს, ესმოდა მხიარული სიმღერები.

მამის გამამხნევებელი სიტყვები პირველ მაისობის შესახებ ძილში მოესმოდა, როგორც საამური ჰანგი და უღვიძებდა ახალგაზრდა გულში ბრძოლის სურვილებს. სადგური გამოჩნდა. ორთქლმავალმა უკანასკნელად ამოიქშინა და გაჩერდა. ჩამოვარდა სრული სიჩუმე. მგზავრები წამოიშალენ, აიღეს თავ-თავისი ბარგი. გაბომ და ტიტიკომაც მიაშურეს კარს. ცოტა ხანს შემდეგ მამა-შვილი ისხდენ ოთახში და ვახშამს შეექცეოდენ.

— აბა, შვილო, ახლა კი დავიძინოთ, დილაზე ადრე ვართ სამუშაოზე წასასვლელი. მალე მამა-შვილი ძილს მიეცენ.

კარგა ხანია გაბო ქვანახშირის მაღაროებში მუშაობს. ის მეტად ხელმოკლე გლეხია. ულმობელმა ავადმყოფობამ ცოლი მოსტაცა. გამრჯელი და კარგი მეოჯახე იყო კესო. ის მხარში ედგა

მუშების დასვენება.

თავის ქმარს და ისე ჰქონდა ოჯახი მოწყობილი, რომ მტერსაც უძლეებოდა და მოყვარესაც. ტიტიკო 10 წლისა დასტოვა. როგორ უყვარდა ტიტიკო. გაბო თუმცა დიდი ხანია მაღაროებში მუშაობდა, მაგრამ ოჯახის მუშაობასაც ახერხებდა. ახლა კი, გულაცრუებულმა, მიატოვა სახლი და ტყიბულში გადასახლდა თავისი შვილით. ოთხი წელიწადია, რაც ტიტიკო ჩაბმულია მაღაროების მუშაობაში. ის ყველას საყვარელია.

ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა საყვირი გაისმა. მისმა ბოხმა და მოსაწყენმა ხმამ გაარღვია მძინარე ჰაერი, შეეიდა მყუდრო ოთახებშიც და ტკბილად ჩაძინებულთ დაუფრთხო დილის ძილი. იმდენად მომაბეზრებელი იყო ეს ხმა, რომ ყველას ძალაუნებურად უნდა დაეღწია ძილისათვის თავი და ამდგარიყო. მალე სოფელში აქა-იქ აინთო ცეცხლი, ეტყობოდა ყველა ქოხში საშუშაოსთვის ემზადებოდ.

თუმცა ძალიან ეზარებოდა დაქანცულ ტიტი-

მუშები საუზმობენ.

კოს ადგომა, მაგრამ ის მაინც წამოხტა, ჩაიცვა სამუშაო ტანისამოსი, გააღვიძა მამა და ცეცხლი დაანთო მჭადის გასაფიცხებლად. მალე საყვირის მეორე ხმაც გაისმა და ჩვენი მუშები გზას გაუდგენ.

ქუჩაში უკვე გახშირებული მოძრაობა იყო, მუშები მიიმართებოდენ მაღაროებისაკენ, ზოგი წყვილ-წყვილად, ზოგი ჯგუფ-ჯგუფად. ყველა სამუშაო ტანისამოსში იყო გამოწყობილი. ზოგს ნიჩაბი ჰქონდა გადებული მხარზე, ზოგს ლომი ან წერაქვი. მალე მუშებმა მაღაროსთან მოიყარეს თავი. მაღაროებს აქა-იქ გველეშაპებივით დაეღოთ პირი. ტიტიკოს წინად ეშინოდა მაღაროში შესვლის ყოველთვის საყვარელი დედა ახსენდებოდა, თვალწინ წარმოუდგებოდა, როგორ ჩაასვენეს ის ბნელ სამარეში. ყველა ეს დიდი ხანია დაავიწყდა ტიტიკოს; აი ახლაც სხვა მუშებთან ერთად ხელის სანათურით შეიარაღებული ტიტიკო მაღაროში შევიდა. მუშები მაღაროს მოედვენ. ტიტიკო და მისი ამხანაგი მიხაც გაჰყვენ გზას. მიხა დიდი ხანი არ არის რაც მუშაობს.

იმას ყველაფერი აკვირვებს. ტიტიკოს დაჰყავს ყველგან და აჩვენებს. ისინი მიდიან საკმაოდ ფართე გზით. გზაზე ლიანდაგია გაყვანილი, რომლითაც პატარა ვაგონებით ქვანახშირი გარეთ გამოაქვთ. თანდათან მუშების რიცხვი კლებულობს. ისინი შედიან მარჯვნივ და მარცხნივ გაყვანილ შესახვევებში. მიხა რწმუნდება, რომ ქვესკნელი მშვენივრად ყოფილა მოწყობილი ქუჩებით, შესახვევებით და ჩიხებით. ერთ-ერთ შესახვევში ჩვენი ახალგაზრდებიც შევიდენ. გაბო წინ მიდიოდა წელში მოღუნული, მას მისდევდენ დანარჩენიმუშები. შესახვევი იმდენად დაბალი იყო, რომ ადამიანი წელში ვერ გაიმართებოდა. მალე მუშები გაწვენ, მოიმარჯვეს წერაქვები და გაჩაღდა მუშაობა. ქვანახშირი ვერ უძლებდა მუშების წერაქვის მძლავრ მოქნევას და დიდრონ ბელტებად ცვიოდა.

— აბა, მიხა, გამოვიტანოთ ჩქარა ნახშირი, თორემ მუშაობას ვაფერხებთ.—უთხრა ტიტიკომ მიხას.

სულ მალე პატარა ვაგონი აივსო ქვანახშირით და ჩვენმა ახალგაზრდებმა ის გარეთ გამოაგორეს. ლიანდაგზე ისე ადვილად მიგორავდა ვაგონი, რომ ხელად გაიტანეს დიდ მოედანზე, სადაც ქვანახშირი გროვდებოდა. მიხას საშინლად ეხალისებოდა ეს მუშაობა. ყველაზე მეტად კი მოსწონდა, როცა ცარიელი ვაგონი ისევ მაღაროში შეჰქონდათ. ხშირად ჩაჯდებოდა ხოლმე ცარიელ ვაგონში და ასე ასეირნებდა მას ტიტიკო. ზოგჯერ, როცა მუშებს ნახშირის მაგარი ფენები შეხვდებოდათ და წერა-

ქვით ფეხას გახდებოდენ ლაღუმს მიმართავდენ ხოლმე. მიხამ ეს ამბავი არ იცოდა. ერთხელ მაღაროს შესავალთან იდგა, მოესმა საშინელი გრიალი. მიხას ძალიან მოჰქონდა თავი გულადობით, მაგრამ ამ ხმას ვერ გაუძლო და „ვაი დედა“-ს ძახილით ქვევით დაექანა. იქვე მდგომი ტიტიკო-სიცილმა აიტანა ამან ცოტა არ იყოს, გულადობა დაუბრუნა ჩვენს გმირს. მას შემდეგ ხშირად მოაგონებს ხოლმე ტიტიკო: „რა მწარედ მირბოდი, მიხა, თითქოს ზარბაზნის ტყვიას გაუძნელდებოდა შენი დაწევაო.“

— პირველ ხანებში შენც კი დაგმართია ასეთი მარცხი,—უპასუხებდა დარცხვენილი მიხა.

მაღალი ნაჭერალის მთის კალთები დასერილია ვიწრო ბილიკებით, აქა-იქ მოსჩანს მაღაროს შავი, ფართედ დაღებული პირი. ბილიკებზე მუშები ჭიანჭველებივით მოსჩანან. დრო გამოშვებით გამოჩნდება ხოლმე დიდი შავი ყუთი ქვანახშირით სავსე. მოფრინავს ჰაერში ეს ყუთი და მოაქვს იმავე მოედნისკენ ქვანახშირი. პირველად ამ ამბავმა ძალიან გააკვირვა მიხა. მალე დარწმუნდა, რომ ყუთი ჩამოკიდებულია გაბმულ მავთულზე და ასე ადვილად იგზავნება ქვევით ნახშირი. მიხა არ დამშვიდდა სანამ ზემო მაღაროებიც არ დაათვალიერა. აქაც წინამძღოლად ტიტიკო ჰყავდა. ტიტიკომ ბევრი რამ იცოდა ქვანახშირის შესახებ და გზაზე ბევრი საინტერესო რამ უამბო მიხას უთხრა ისიც, რომ კვირაობით ერთი მასწავლებელი ბავშს უმართავს მუშებს და ბევრ საინტერესო ამბებს უყვება. —წარსულ კვირას მასწავლებელმა გვიამბო სხვა ქვეყნებში როგორ მუშაობენ მაღაროებში,—დაიწყო ტიტიკომ. ქვანახშირით ყველაზე მდიდარი ქვეყანა ჩრდილო ამერიკა ყოფილა. ამერიკის საბადოების არე აღემატება მთელი გერმანიის არეს. ასევე მდიდარია ქვანახშირით ჩინეთი. ევროპაში კი ყველაზე მდიდარია ინგლისი, რაც შეეხება რუსეთს, მეტად მდიდარი ყოფილა დონეცის აუზი. დონეცის ქვანახშირი ღირსებითაც ძალიან კარგი ყოფილა. ომის წინა წლებში იქ ქვანახშირის მოპოებას წლიურად თითქმის 2 მილიარდ ფუთამდე მიუღწევია. რუსეთს ისეთი დიდი მოთხოვნილება ჰქონია ქვანახშირისა, რომ გარდა თავის ნახშირისა უცხოეთიდანაც შემოჰქონდათ წლიურად ნახევარ მილიარდ ფუთამდე. ჩვენში ამდენ ნახშირს, რასაკვირველია, ვერ ვამუშავებთ ჩვენ რომ გვგონიათ, იქო ჩვენში მარტო ტყიბულში მოიპოვება ქვანახშირი, მართალი არ არის. ამ მხრივ ბევრად უფრო მდიდარი ყოფილა ტყვარჩელის საბადო. ის მდებარეობს ოჩემჩირის ახლოს. ის ნახშირი ტყიბულის ნახშირზე ღირსებით ბევრად უკეთესია, მაგრამ ჯერ არავინ ამუშავებს, რადგან ამის დაწყებას დიდი ძალი ფული სჭირდება. შავი ზღვის სიახლოვეც ძალიან ხელსაყრელია, რომ უცხო ქვეყნებში ადვილად გაიგზავნოს ეს საქონელი.

სხვა ქვეყნებში მაღაროები სხვანაირად ყოფილა მოწყობილი. აქ თითქოს განგებ ჩამოუთლია ვინმეს მთა და მის კალთაზე სხვადასხვა სიმაღლეზე გაუკეთებია ადამიანს აი ეს ხვრელები. სხვა ქვეყნებში დიდი ორმოები ყოფილა ამოთხრილი, ხშირად რამდენიმე ათეული საჟენის სიღრმეზე. ამ ორმოებში მუშები ჩადიან მანქანით. ჩაჯდებიან მუშები ვაგონში და საოცარის სისწრაფით მიექანებიან ქვესკნელისკენ. რამდენიმე ათეულ მუშას ერთბაშად ჩაჰყლაპავს პირდაღებული ორმო. მასწავლებელი ამ ამბავს რომ გვიყვებოდა, ბაბუა ჩემის ნაამბობი ზღაპარი მაგონდებოდა—გაისმა საზარელი ხმა, იტყოდა ბაბუა, დედამიწამ დააღო პირი, ამოვარდა გავარვარებული ალი, ამოჰყვა ტარტაროზი, ტარტაროზმა დაავლო ხელი მეფის შვილს და ქვესკნელისკენ გააქანაო,“ ეს ქვესკნელი მშვენივრად ყოფილა მოწყობილი ფართე ქუჩებით და შესახვევებით. შიგ ადამიანების გარდა თურმე ცხენებიც მუშაობენ საცოდავი ცხენები მთელი თავის სიცოცხლეს ამ სიბნელეში ატარებენ, ისინი სულ მალე ბრმავდებიან.

ეს მაღაროები ხშირად ისე ღრმად არის, რომ შიგ მუშაობა შეუძლებელი იქნებოდა, რომ საქაჩავი მანქანებით არ აწვდიდენ ჰაერს. ვინ იცის რამდენ უბედურ შემთხვევას ჰქონია ადგილი ასეთ მაღაროებში, ყველაზე თავზარდამცემია გრიალა გაზი. ამ გაზს ისეთი თვისება ჰქონია, რომ თუ ცეცხლი მიუახლოვე, ის იგრიალებს საშინელის ხმით და, რასაკვირველია, ადამიანსაც არ დასტოვებს ცოცხალს. როცა დიდ სიღრმეზე სქელი ფენების დაწოლით იშლება მცენარე,—ის გამოჰყოფს აი ამ გრიალა გაზს.

აქა-იქ ის დაგროვებულია ქვანახშირის ფენებს შუა. თხრის დროს, თუ გამოსავალი ნახა გრიალა გაზმა, მოედება მაღაროს. აქ გაისმის ხოლმე საშინელი გრიალი და მსხვერპლიც ბევრი მოჰყვება ხოლმე.

დედამიწის ზედაპირზე ნახშირი იმავე ვაგონებით ამოაქვთ. ხშირია შემთხვევები, როცა ამ დიდ სიღრმეზე გამოჩნდება წყალი და წალეკავს მაღაროს. ბევრი მუშა შეუწირავს ამ უბედურ შემთხვევებს.“

დიდი გამოყენება ჰქონია ქვანახშირს. ის საუკეთესო სათბობი მასალაა. სითბოს გაცილებით მეტს იძლევა, ვიდრე ხის ნახშირი. ამიტომ ის იხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარება ლითონების დნობის დროს და საზოგადოდ იქ, სადაც დიდი სითბოს მიღებაა საჭირო. ის უზარმაზარი ქარხნები, რომელიც ურიცხვ სიმდიდრეს ჰქმნიან, ერთ წუთსაც ვერ იმუშავებდენ, რომ ქვანახშირი არ იყოს. ამიტომაა, რომ ეს შავი, მურიანი ქვანახშირი ხშირად იქცევა ომის, ხოცვა-ჟლეტის მიზეზად, ამიტომ მიაშურა გამარჯვებით გათამამებულმა საფრანგეთმა ქვანახშირით მდიდარ რურის აუზს და წაართვა ის დასუსტებულ გერმანიას.

ქვანახშირის მშრალი გამოხდით ჩნდება სანათი გაზი. მასწავლებელმა გვაჩვენა, თუ როგორ შეიძლება ამ გაზის მიღება, მან ჩაყარა ქვანახშირი ცარიელ შუშაში. შუშას დაუცო საცობი, რომელშიც მუხლად მოღუნული შუშისავე მილი გაატარა, ცეცხლზე შეათბო ეს ნახშირი და მილიდან დაიწყო დენა გაზმა. როგორც კი მიუტანა ამ გაზს ცეცხლი, გაზს მოეკიდა და ლამაზი ალით იწყო წვა.

ამ გაზსაც მეტად დიდი გამოყენება ჰქონია.

კიდევ ბევრი რამ უამბო ტიტიკომ მიხას. მიხა გულმოდგინედ უსმენდა ტიტიკოს. აზრით მან უკვე მოასწრო ჩრდილო ამერიკაში გადაფრენა, ინახულა ინგლისის მაღაროები, ჩინეთშიაც კი ამოყო თავი.

ლაპარაკში ისინი მიადგენ ძველ, მიტოვებულ მაღაროს კარს. ის უკვე გამოფიტული იყო. ოდესღაც შედგმული მაღალი მუხის ბოძები უკვე გამოშპალიყო, შიგ შესვლას ველარავინ ბედავდა, ჩამონგრევისა ეშინოდათ. იშვიათად თუ ავიდოდა ვინმე იქ. გადასახედავი კი კარგი იყო. მთელი მუშაობა ხელის გულზე იყო გამოტანილი. აგერ ჩამომდგარა მატარებელი. ღია ვაგონები დატვირთული ნახშირით. ორთქლმავალი ქშინავს, თითქოს მოთმინება დალევია, ჩქარა გამიშვითო. იქით მუშები ტვირთავენ ვაგონებს. მუშების ერთ ჯგუფს აუღია მუშაობაზე ხელი და „ბარაკებისაკენ“ მიდიან, იქ საერთო სასადილოში დაისვენებენ და ისადილებენ. მუშების ნაწილი იქვე მყოფ სამკითხველოს სწვევია და გაზეთებს კითხულობს სამკითხველოს ეზოში.



უცხოეთის მაღაროებში მუშაობა

ჩვენ ახალგაზდებს უნდოდათ შესულიყვენ მიტოვებულ მაღაროში, მაგრამ ვერ გაბედეს.

სამარისებური მყუდროებაა მიწის სიღრმეში. აქა-იქ ადამიანმა დაარღვია ეს მყუდროება და შეიჭრა შიგ თავისი წერაქვებით და ნიჩბებით. ოდესღაც, რამდენიმე ათასეული წლის წინად, ის ადგილები, რომლებიც ახლა მიწის სიღრმეშია მოქცეული, დედამიწის ზედაპირს შეადგენდა. ვინ იცის, როგორ დუღდა იქ სიცოცხლე. ხშირი ტყეები ცხოველებით, ფრინველებით და მწერებით ფარავდა ამ ზედაპირს. მუდმივი არაფერია, ათასნაირი ცვლილებები ხდება დედამიწის ზედაპირზე. ასეთ ტყიან ადგილებს მრავალ საუკუნეთა მანძილზე წალეკავდა ზღვა, წააყრიდა ზედ სილას და ამრიგად ეს ხშირი ტყე გაჩნდებოდა სადღაც ზღვის ფსკერს ქვეშ. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც დედამიწა დიდ და სწრაფ ცვლილებებს განიცდიდა, მისი ზედაპირის მოყვანილობა ჯერ დაუმთავრებელი იყო.

დედამიწის ზედაპირზე, რასაკვირველია, ახლაც ხდება ცვლილებები, მაგრამ ეს ცვლილებები ახლა ისეთი სისწრაფით აღარ ხდება. ხომ ცნობილია, რომ ის ადგილები, სადაც დღეს ხმელეთია, უხსოვარ დროს დაფარული იყო ზღვით. უდავოა, რომ ხმელეთის ის ნაწილი, სადაც ახლა ჩვენ ვმოსახლეობთ, ოდესღაც ზღვის ფსკერს წარმოადგენდა. მხოლოდ ამით აიხსნება ის, რომ ჩვენში, ხშირად მთის სხვადასხვა ჯიშებზე აღბეჭდილია ზღვის ცხოველთა და თევზების ჩონჩხი. აი, ამოიზნიქა ზღვის ფსკერი, ამოვიდა წყლის ზედაპირზე და თან ამოიტანა სხვათა შორის ქვანახშირის საბადოებიც.

შუა ზაფხული იყო. მკათათვის სიცხით დათენთილი მუშები ხშირად ძველ, მიტოვებულ მაღაროებში იფარავდენ თავს მზის ულმობელ სხივებისაგან. შუა დღის საყვარი გაისმა, მუშები გამოვიდენ მაღაროებიდან სასაუზმოთ. ტიტიკო და მიხა შეექცენ ჭადსა და ყველს.. ჩვეულებრივი ტკბილი მუსაიფით შევიდენ ერთ-ერთ ძველ მაღაროში. სიგრილემ ისინი კარგ გუნებაზე დააყენა. ხელის სანათის მკრთალი შუქი ოდნავ სინათლეს ჰფენდა აქა-იქ ჩამოზვავებულ მიწას. მიუხედავათ იმისა, რომ ჭერს შედგმული ჰქონდა ბოძები, ზოგიერთ ადგილას ისე ბლომად ჩამოზვავებულიყო მიწა, რომ ტიტიკოს და მიხას უძნელდებოდა სიარული. ტიტიკომ იცოდა რომ ასეთ მაღაროებში ხშირი ყოფილა უბედური შემთხვევები და დაწინაურებულ მიხას ურჩევდა უკან დაბრუნებას. თითქოს გრძნობდა ტიტიკო; რომ რაღაცა უბედურება უნდა დატრიალდეს. გაისმა გულშემზარავი ხმა. შეშინებულმა ტიტიკომ დაუძახა მიხას, მაგრამ პასუხი ვეღარ მიიღო. ცხადი იყო რომ მიხა მოჰყვა ჩამოზვავებულ მიწის იქით, თუ თვით მიწის ქვეშ არა. ტიტიკო ფიცხლავ გამოეშურა გარედ. მალე ეს ამბავი მოედვა მთელ მუშებს. ყველამ წერაქვებით და ნიჩბებით მიაშურა ჩამონგრეულ მაღაროს.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან სახიფათო იყო მუშაობა, ყველა თავგამეტებით მუშაობდა. ჩამოზვავებულ მიწას სთხრიდენ და გარედ გამოჰქონდათ. ძნელია იმის აღწერა, რა ემართებოდა ტიტიკოს. ის დარწმუნებული იყო, რომ მიხა მოჰყვა ამ ზვავს ან უკეთეს შემთხვევაში ვიწრო ჩიხში იგუდება უჰაეროთ. რამდენიმე საათის მუშაობის შემდეგ მუშებს მოესმათ მიხას მისუსტებული ხმა. მალე ის გამოიყვანეს სრულიად გაფითრებული და ცოცხალ-მკვდარი. როცა დამშვიდდა და ძალღონე მოიკრიბა მიხამ დაწვრილებით უამბო ტიტიკოს, თუ რას გრძნობდა იმ უბედურობის დროს.

— მე დარწმუნებული ვიყავი, ამბობდა მიხა, რომ შენ მიწის ქვეშ მოჰყევი, პირველად არ მეშინოდა, მიწას ხელით დაუწყე თხრა, მეგონა იმდენად თხლად იწვა მიწა, რომ ხელითაც გავაკეთებდი ხვრელს, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ დიდ ზვავს იქით ვიყავი მომწყვდეული. დავრწმუნდი იმაშიც, რომ შენ ზვავმა მოგიყოლია და ამიტომ ჩვენ ვერავინ მოგვაგნებდა იმ ჯურღმულში. მალე იმდენად შეიხუთა ჰაერი, რომ სანათმა ბჟუტვა დაიწყო. ამან მთლად დამიკარგა იმედი. მომესმა მუშების ხმა, ნიჩბების და წერაქვების ჩხარუნი. ამის შემდეგ რა მოხდა, როგორ გამომიყვანეს გარედ,—ის აღარ მახსოვს.“

ამ ამბის მოგონებაზე მიხას ყოველთვის ჟრუანტელი უვლიდა ტანში.

დიდმა ხანმა არ განვლო ამის შემდეგ, რომ ერთი ინჟინერის დახმარებით მიხა და ტიტიკო შევიდენ ტბილისის მუშათა ფაკულტეტში და განაგრძობენ იქ სწავლას.

პ. ტფილელი.



წყარო

ვ

ითიდან მოჰქუხს
შვების წყარო;
და აღარ სწუხს
ყრმა სამყარო...

და მდელოზე
მონავარდებს,—
საყელოზე
ებმის ვარდებს...

მოსჩანს კრთომა
მზის ციაგზე;
ცელქის ხტომა
ლურჯ წიაღზე...

შვენის ცვარი
ფოთლების ყურს,
მრავალგვარი
სიამით ქუხს...

ყვავილთ ქოჩორს
ნეტარად ჰბანს,
სიო კი შორს
უმღერის ბანს...

ბალახთ შორის
მორბის ლიმით;
მზისა სწორი
ნაზ ციმციმით...

სანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლე გამარჯვებისთვის

ოდესღაც, ძველად, ცხოვრობდა ხალხი. გაუვალი ტყე სამი მხრიდან გარს ევლებოდა მის ბანაკს, ხოლო მეოთხე მხრით თვალუწვდენელი ველი იყო გაშლილი.

ეგ ხალხი ჯანსალი, მხიარული და გულადი იყო.

მაგრამ დადგა დრო: გამოჩნდა საიდანღაც სხვა ჯურის ტომი, რომელმაც ტყის სიღრმისკენ განდევნა დამხვდარი ხალხი. დევნილთ ტყეში დახვდათ სიბნელე და ჭაობი. ტოტებ-გადახლართული ტყე ხშირი ფარავდა ცას და იშვიათად ატარებდა მზის სხივს.

მაგრამ როდესაც შუქი მოეფინებოდა ჭაობში ჩამდგარ წყალს ასდიოდა შმორი და ხალხი უმოწყალოდ იღუპებოდა.

ტირილი მორთეს ცოლებმა და შვილებმა, ხოლო მამები ჩავარდენ საგონებელსა და მწუხარებაში.

უნდოდათ ტყიდან გასვლა, მაგრამ ირგვლივ მდგარი უზარმაზარი ხეები, ისე მჭიდროდ გადაჭიდულიყვენ თავისი მძლავრი ტოტებით, რომ ტყეს თავს ვერ აღწევდენ.

და ყოველთვის დღისით თუ ღამით, გარშემო უვლიდა მათ რკალი, რომელიც უპირებდა ველსა და მინდორს შეჩვეულ ხალხს მოსპობას, გაჭყლეტას.

ამიტომ იჯდა და ფიქრობდა ხალხი გრძელ ღამეების განმავლობაში, ტყის ყრუ ჩურჩულში, თუ რა მოემოქმედა, როგორ მოქცეულიყო.

არაფერი არ ასუსტებს ადამიანის ტანსა და სულს ისე, როგორც მწუხარე ფიქრები, გულის მიმღებელი სისხლის მწოვი; და დასუსტდა ხალხი ასეთ ფიქრებისაგან. შიში გაჩნდა მათ შორის და შებოჭა მათი ნებისყოფა. ქალები დასტიროდენ მიცვალებულთა გვამებს და ცოცხალთა ბედს. და გაისმა ტყეში შიშის სიტყვები ჯერ მკრთალად და ჩუმად, შემდეგ უფრო და უფრო ხმამაღლა.

უკვე გადასწყვიტეს დამორჩილებოდენ მტერს, გაეცათ თავი. არავის არ ეშინოდა მონურ ცხოვრება ისეთი იყო შიში სიკვდილისა.

მაგრამ გამოჩნდა მათ შორის დანკო და გადაარჩინა ყველანი.

დანკო იყო ახალგაზრდა და ლამაზი.

ლამაზნი ყოველთვის გულადნი არიან. მან უთხრა თავის ამხანაგებს: — „თქვენი ფიქრებით ქვები არ დაიძვრის. ვინც არაფერს აკეთებს, მას სიკეთე არ მოელის. რატომ ვხარჯავთ ამდენ ძალ-ღონეს მწუხარებაზე? ადექით, წავიდეთ ტყეში, გავიაროთ ნუთუ მას არა აქვს დასასრული? — ქვეყანაზე ყველაფერს დასასრული აქვს. ადექით, აბა, ჰეჰეი!“

შეჰხედეს მას და დაინახეს, რომ იგი ყველაზე უკეთესია მათ შორის, იმიტომ რომ მის თვალებში ელვარებდა სიძლიერე და ცოცხალი ცეცხლი...

— წაგვიყვანე! — უპასუხეს მათ.

და დანკომ წაიყვანა ისინი.

ძნელი გზა იყო. ბნელოდა, ყოველ ფეხის გადადგმაზე გაუმაძღარი ჭაობი დამჭალი პირით ყლაპავდა ადამიანებს, და ხეებიც მიუკალ კედლებივით იდგა.

დიდხანს მიდიოდენ. ტყე სულ უფრო და უფრო გაუვალი ხდებოდა, და ხალხსაც სულ უფრო და უფრო ძალ-ღონე ეკარგებოდა.

და, აი, თანდათან უსიამოვნობის ჩურჩული გაისმა. სჩიოდენ, რომ ტყეილ-უბრალოდ წამოგვიყვანა გამოუცდელმა ახალგაზრდა დანკომ და დაგვაბნია ტყეშიო.

თვითონ დანკო კი მიდიოდა წინ თამამად და დაუღალავად.

მაგრამ უცბად გაისმა ჭექა-ქუხილი. ახმაურდა ტყე ყრუდ, მუქარით. ისე დაბნელდა, თითქოს ყველა ღამეს აქ თავი მოეყარა. ყველა ღამეს, რაც ქვეყანაზე იყო.

ხალხი სულით დაეცა, მაგრამ არავის არ უნდოდა უძლურების გამომჟღავნება. წყევლით და მუქარით მივარდენ დანკოს, რომელიც ყველაზე წინ მიდიოდა. ბრალს სდებდენ, რომ გამოუცდელი იყო წინამძღოლობაში.

შესდგა ხალხი გამაჟრჟოლებელ სიბნელეში. დაღლილნი, გაბრაზებულნი ასამართლებდენ დანკოს.

— შენ, — უთხრეს დანკოს — უმნიშვნელო და უბედურების მომგვრელი ადამიანი ხარ! შენ წამოგვიყვანე ჩვენ და დაგვქანცე, ამისათვის უნდა მოკვდე.

— თქვენ სთქვით „წაგვიყვანეო“ — და მეც ავასრულე. — პირისპირ ყვირილით უპასუხა დანკომ! — მე თამამი ვარ და ამიტომ ვიკისრე წინამძღოლობა, თქვენ კი, რა ჰქენით თქვენდა სასარგებლოდ? თქვენ მხოლოდ მოდიოდით, ვერ შესძელით ძნელი გზის გავლაც კი. თქვენ მხოლოდ მოდიოდით, მოდიოდით თქვენთვის, როგორც ფარა!

მაგრამ ამ სიტყვებმა ხალხი უფრო გააბრაზა.

— შენ მოკვდები, მოკვდები! — ღრიალებდა ხალხი

დანკო უყურებდა მათ, ვის გულისათვისაც ასეთი მძიმე ტვირთი აიკიდა. ხედავდა, რომ ხალხი გამხეცებულიყო.

ბევრი იდგა მის გარშემო, მაგრამ არც ერთი არ იყო ისეთი, რომ მართალი ეთქვა.

მაშინ მისი გული ადუღდა უსამართლობისაგან, მაგრამ ხალხისადმი სიბრალულმა ისევ გაუნელა ბრაზი.

მას უყვარდა ეს ხალხი და ჰფიქრობდა, რომ შველოდა მას, რომ უიმისოდ ისინი დაიღუპებოდენ.

და, აი მის გულში ცეცხლად დაინთო სურვილი, სურვილი გზის გაუმჯობესებისა. მის თვალებში ნაპერწკლებმა იელვეს, დიადი, მძლავრი ცეცხლის ნაპერწკლებმა.

უცებ დანკომ გაიპო მკერდი, ამოიგლიჯა გული და მაღლა თავს ზევით ასწია იგი.

გული აკაშკაშდა როგორც მზე, მზეზე უფრო, და მთელი ტყე მიყუჩდა. მერე განათდა დიადი სიყვარულის ჩირაღდანით. სიბნელე კი გაიფანტა.

განცვიფრებული ხალხი ქვასავით იდგა.

— წავიდეთ—შესძახა დანკომ და წინ გაექანა. მაღლა ეჭირა შუქმფინავი გული და ხალხს გზას უნათებდა.

ისინი როგორც სიზმარში გაჰყვენ მას.

მირბოდენ გაბედულად, სასწაულით გატაცებულნი. იღუპებოდენ ახლაც, მაგრამ უცრემლოდ. დანკო კი მიდიოდა წინ და მისი გული კაშკაშებდა, სულ კაშკაშებდა. უცებ ტყე გაიპო, გაიპო და დარჩა უკან—ულრანი, ყრუ. დანკო კი თავის ხალხით უცებ ამოყურყუმელავდა მზის შუქთა ზღვაში, სუფთა ჰაერში. ჭექა-ქუხილი დასტოვეს იქ, უკან, ტყეში, აქ კი მზე ანათებდა, ასუნთქებდა ველს, ელვარებდა ბალახის ცვარზე და ოქროსფრად ღებავდა მდინარეს.

საღამო იყო და ჩამავალი მზის სხივებისგან მდინარე სისხლისფრად შეიღება, იგი ჰგავდა დანკოს გაგლეჯილ მკერდიდან ამოხეთქილ სისხლს.

უკანასკნელად გაჰხედა თვალუწვდენელ სივრცეს ამაყმა, მომაკვდავმა, გულადმა დანკომ. მის წინ გატყორცნილი თავისუფალი მინდვრები გაშლილიყვნენ. ამაყად გაიცინა მან. მერე კი დაეცა და სული დალია.

ხალხი კი მხიარულობდა იმედით აღსავსე. მან ვერც კი შეამჩნია დანკოს სიკვდილი. ვერ შეამჩნია, რომ დანკოს გვერდით ჯერ კიდევ კაშკაშებდა თამამი გული...

ასე დასწვა დანკომ ხალხისათვის თავისი გული და მოკვდა ისე, რომ სამაგიეროდ არაფერი არ მოუთხოვნია.

დანი.

შავი მგელი

მესამე მოქმედება

დიდებული და საოცნებო ციხე-დარბაზი. წინ შემკული ფართო ეზო. დარბაზს ეზოსკენ განიერი მოვარაყებული აივანი აქვს. ხალხი ირევა და უფრო კი ერთი მარისაკენ გაიყურება. ჭრიამულია და ძახილი: „მოჰყავთ, მოჰყავთ!.. აგერ გორას გადმოვიდნენ!.. ძირს ჩამოვიდენ!.. მოჰყავთ!.. მოჰყავთ!!“.

ერთი (მესაკრავეთ) აბა, დიდის დიდებით შევხვდეთ!.. დაუკარით საზეიმო ჰანგი!..

(მესაკრავენი უკრავენ მხიარულ ჰანგს. ხალხში აღტაცებაა.)

(მტირე ხანს შემდეგ შემოჰყავთ ფარნა ისევ მხარზე შესმული და სტენის შუაგულს დასვამენ. მესაკრავენი უკრავენ, ხალხი აღტაცებით ეგებება და ყვირის: ვაშა! გაუმარჯოს! ფარნას გვერდით უდგას ბრიჯა და თეთრა, თვითონ გამოურკვეველ მდგომარეობაშია, უკვირს ასეთი შეხვედრა)

ხალხი. გაუმარჯოს ჩვენს მბრძანებელს, გაუმარჯოს ჩვენს კეთილის მყოფელს! ვაშა! ვაშა!

ერთი (წინ წამოდგება) დიდება შენს აქ მობრძანებას! მოუთმენლად გელოდით და ძლივს გვეღირსა შენი ხილვა, დიდებულო ვაჟკაცო!..

ფარნა. მადლობელი ვარ, მეგობრებო. მაგრამ ამიხსენით, რით დავიმსახურე ამოდენა ხალხის პატივისცემა და ეს დიდება!..

ერთი. დაიმსახურე და ღირსიც ხარ თაყვანისცემისა! ჩვენ გადიდებთ შენ, ღირსეული!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი. ვაშა! დიდება ღირსეულს, თავდადებულს, რჩეულს!..

ფარნა. მართალია, მე მოვკალი შავი მგელი, მაგრამ...

ხალხი (ასწევენენ) გაუმარჯოს გმირს! შეუპოვარ მებრძოლს!.. ჩვენს მხსნელს!..

ერთი. ახლა გამობრძანდება ჩვენი შვენიერების დედოფალი მზექალა და ყველაფერს გვეტყვის..

მეორე. აგერ მობრძანდება ისიც... (ხალხი კაიეოფა ორ ბირად, დადგება აქეთ-იქით; შუაზე რჩება ფარნა, ბრიდა და თეთრა. აივანზე გამოდის მზექალა დიდებულად მორთული; მოსდევს რამდენიმე ქალი.)

მზექალა (აივანიდანვე მიესალმება ფარნას) სალამი შენს მობრძანებას, გულ-მტკიცე და უშიშარო ჰაბუკო რაინდო!

ფარნა სალამი შვენიერებას, დედოფალო! (თავს დაუკრავს)

მზექალა. შენა ხარ ის გმირი, რომელმაც გაუბედა ბრძოლა შავ მგელს...

ფარნა. დიახ, მე მოვკალი იგი ამ ორის ჰაბუკის დახმარებით. ჩვენ სამი ვიყავით...

მზექალა. ბროლა და თეთრა ჩვენი მეზობლები არიან, დაძმა, ჯადოქარისაგან ძალლად და თხად ქცეული...

ფარნა. ჰო, მეგობრებო?!.. კიდევაც იმიტომ იყავით ისეთი გონიერნი... (მზექალას) მაგრამ გთხოვ გამაგებინო, სადა ვარ, ან ეს ყველაფერი რას ნიშნავს?.. აქ არავინ იკისრა ამის თქმა; მითხრეს, რომ შენ მეტყვი ყველაფერს... ხომ მეტყვი?

მზექალა. (დიმილით) გეტყვი ყველაფერს... მხოლოდ, გეტყობა, გულსწრაფიც ყოფილხარ, როგორც გულმტკიცე (ჩამოდის ეზოში.)

ფარნა. დიახ, მსურს მალე გავიგო, რა ამბავია ან თქვენს თავს ან ჩემს თავს...

მზექალა. შენი სამართლიანი სურვილი აგისრულდება... ძალიან მალე... (მიუახლოვდება) შავი მგლის საძებნელად რომ მიდიოდი, შენ გაიარე ამ ჩვენს ქალაქზე, რომელიც მაშინ მთლად გაქვავებული იყო... გახსოვს ის ადგილი?

ფარნა. მახსოვს, მახსოვს... მაგრამ თქვენ რა იცით, რომ აქ გავიარე?

მზექალა. ჩვენ ყველანი ამ ქალაქის მცხოვრებნი ჯადოქარისაგან ვიყავით ქცეული სხვადასხვა ცხოველებად, ფრინველებად, ქვემძრომებად...

ფარ ა. ეგეც მახსოვს... ლოდებ შორის ვნახე იგინი... შევდექ და განცვიფრებული ვუყურებდი მათს უაზრო ფუსფუსს და ხოხვას; მათს უცნაურს ხტუნვას და მანჭვას; მესმოდა მშრალ ლოდებზე ქვემძრომთა ქერქის უსიამოვნო ხრიალი, ენათა შემზარავი სისინი... ფრინველთა ხმა არ იყო ყურთა დამატკბობელი, არამედ ჰგავდა უფრო გულსაკლავ ჩხავილს, საცოდაობის გამოძახილს...

მზექალა. (მწუხარებით) სრული ჭეშმარიტებაა. ჩვენი ყოფა იყო ტანჯვა, წამება, კვნესა და რუდუნება, ამიტომ მოქმედებაც და ხმაც სამწუხარო და უსიამოვნო გვქონდა... ვიტანჯებოდით, მაგრამ ჩვენს სამშობლო მხარეს არ ვანებებდით თავს, სულ აქვე ვტრიალებდით, სახლკარს არ ვშორდებოდით... ველოდით ჯადოსაგან განთავისუფლებას, დახსნას ტანჯვისაგან... და ჩვენს დახშულ, დაჩლუნგებულ გონებაში იშუდის სხივი ბჟუტავდა, ვით ბნელს ღამეში ციცინათელას მკრთალი შუქი... და, როცა დაგინახეთ შენ მიმავალი შავი მგლის საძებნელად, ჩვენ სიხარული მოგვემატა, იმედი მოგვეცა და არც მოვსტყუვდით!.. დიდება შენს ძლიერს მარჯვენას!..

ფარნა. ჯადოქარი ვერ მოვკალ, გამექცა; დამემალა... შავი მგელი კი მოვკალ! მაგრამ ეს ცვლილება მაინც როგორ მოხდა, შენ იქნება მითხრა..

მზექალა. ჯადოქარის ორეული იყო შავი მგელი... როცა საჭმლის შოვნა მოუნდებოდა, მგლად იქცეოდა, თუ არა იყო ჯადოქარი და უარესს ბოროტებას ახდენდა.

ფარნა. (გაკვირვებული) შავი მგელი და ჯადოქარი ერთი და იგივე იყო?!. (სიხარულით) მაშ ჯადოქარიც მომიკლავს!

მზექალა. არა, შენ მოჰკალ მხოლოდ შავი მგელი, როგორც ბოროტების სათავე... იმის სიკვდილით ჩვენ გავთავისუფლდით ჯადოსაგან, ხიბლისაგან... ჯადოქარი კი ცოცხალია...

ფარნა. (კოტებით) როგორ? ის ცოცხალია? სად არის ის გველზედ უარესად საზიზღარი!

მზექალა. ახლა ის ჩვენი ტყვეა... ჯაჭვით გვყავს დაბმული... უვნებელია, რადგან შავი მგელიც მკვდარია და თითებზე გრძელი გრძნეული ფრჩხილებიც დავაჭერით, მგელი და ის ფრჩხილები იყო მისი ძალა და გავლენა..,

ფარნა. მე მინდა ვნახო ის ავი და მავნე არსება, დავსტკბე მისი უძლურებით და დამცირებით, ხომ შეიძლება?

მზექალა. სიამოვნებით... შენ გაქვს მაგის უფლება, სხვას კი არავის! ასისთავო, აბა, მოიყვანეთ აქ ზახე ჯადოქარი... (რამდენიმე კაცი მიდის). მანამ იმას მოიყვანენ, მინდა კიდევ ერთი რამ გითხრა...

ფარნა. ბრძანე, შვენიერების დედოფალო!

მზექალა. დღეს შენ ჩვენი სტუმარი ხარ, ძალიან ძვირფასი და მეტად იშვიათი...

ფარნა. დიახ, სტუმარი ვარ და დასვენების შემდეგ მინდა შინ დავბრუნდე. მინდა ჩემს მეზობლებსაც მიუტანო ეს სასიხარულო ამბავი და მივეშველო ჩემს ცხვრის ფარას, რომელიც მათ ჩავაბარე დაბრუნებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზექალა. არა, ველარ გაგიშვებთ, აქ უნდა დარჩე...

ხალხი. (ყვირის) სულ აქ უნდა დარჩეს... სამუდამოდ ჩვენი უნდა იყოს... არ გავუშვებთ, ველარ წავა... ჩვენი მფარველი და წინამძღოლი ეგ უნდა იყოს, რადგან ეგ ძლიერი, უშიშარია!..

მზექალა. ხომ გესმის, რას ამბობს ხალხი!.. ხალხის ხმა — კანონია...

ფარნა. (შეეშინებული) არა, ვერ დავრჩები...

ხალხი. შენი წასვლა არ შეიძლება,.. ახლა შენ ჩვენი ხარ, რადგან ასეთი დიდი ამაგი და ღვაწლი დაგვდე, ჩვენთანაც უნდა დარჩე...

ერთი. ჭაბუკო, სახით შეენიერო, სულით ულამაზესო! შენი ახოვანებით უნდა დააშვენო და დაგვირგვინო ჩვენი ზეიმი და ბედნიერების დღე, რომელსაც ჩვენ მალე გადავიხდით... და რომ უფრო მტკიცე იყოს ჩვენი ერთობა და კავშირი ჩვენს მოამაგესთან, შვენიერების დედოფალი მზექალა და რაინდი ჭაბუკი ფარნა დავაქორწილოთ.. მაშინ ესეც დარჩება ჩვენთან და სიყვარული და მეგობრობაც გამტკიცება ჩვენ შორის...

ხალხი. ეგრე იყოს, ეგრე იყოს!..

ფარნა. (მორცხვად) მე ერთი მწყემსი კაცი ვარ...

მზექალა. (ნაზად) მწყემსი ხარ, მაგრამ რჩეული ხარ... და თუ შენ თანახმა ხარ... (ადარ ათავებს სიტყვას)

ფარნა. (გაუბედავად შეჰყურებს) თუ კი შენი ნებაც არის... (ერთმანეთს გრძნობიერად ხედავენ და მტირე ხანს ერთმანეთს უყურებენ).

ხალხი. გაუმარჯოს მეფე—პატარძალს! ბედნიერი იყოს, ბედნიერი იყოს!.. (ამდროს მოჰყავთ ჯადოქარი ჯაჭვ შებმული და მოშორებით დაუყენებენ.)

მზექალა (მიუახლოვდება) ჯადოქარო ზახე! აბა, შეხედე ამ ჭაბუკს, ხომ არ გეცნობა? (უჩვენებს ფარნაზე).

ჯადოქარი. (ეყურებს) თითქოს მინახავს... (იგონებს)

ფარნა. მას შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რაც შენ მე მნახე.... მთებში...

მზექალა (ფარნას) დაუძლურებისგან მეხსიერებაც შესუსტებული აქვს, ეტყობა...

ჯადოქარი. ჰო, ვიცან, ვიცან!..

მზექალა. ეს ფარნაა!

ჯადოქარი. (კბილების კრაჭუნით და მუშტების მოდერებით) ჩემი დამღუპველი, ჩემი გამთავებელი...

მზექალა. ჩვენი დამსხნელი, ჩვენი განმათავისუფლებელი!.,

ჯადოქარი. ჩემი მკვლელი, ჩემი მოსისხლე მტერი....

ფარნა. მე ბოროტების მტერი ვარ, მართალია! თუ შენ მოიშლი ავკაცობას, ხალხის შტროობას და ზიანს აღარავის მოუტან, განათავისუფლებენ და იცხოვრე შენთვის წყნარად, მშვიდად.... გინდა?

ჯადოქარი. მე უსაქმოდ ყოფნა არ შემიძლია. ჩემი საქმე კი თქვენც იცით, რაც არის... თქვენებურს მშვიდს და მდორე ცხოვრებას მე ვერ ავიტან... მე მირჩევნია ისევ ბოროტების სასტიკი ქარიშხალი, ვაქროლო ქვეყანაზე და შიშის ზარი დავცე დედამიწას ჭექა-ქუხილით, რომ ხმელეთი ირყეოდეს და ზღვანი ნაპირზე ილვრებოდენ...

ფარნა. მაშ კვლავ აქცევდი ბროლას ძაღლად და თეთრასთხად?...

ჯადოქ. (გორგზად) უარეს დავმართებდი!

მზექალა. მაშ ამ ბიჭუნებსაც ისევ ქონდრის კაცუნებად აქცევდი?

ჯადოქარი. (დიმიდით) ეგენი ჩემი თანაშემწენი იქმნებიან, მაგათ უკვე იციან ნაწილი ჩემი ხელობისა... (ხალხში დრტვინვა, ისმის აქეთ-იქიდან)

ხმები: — მე ვიქცეოდი ისევ მცივანა ხვლიკად.

— მე ღამის ჭოტად გულშემზარავის ხმით!

— მე ვირთხად — მიწისმთხრელად...

— მე გამურულ ყორნად, ყველა რომ სწყევლის...

— მე ღამურად თკალში სინათლე გამოცლილად...

— მე სასიზღარ, უხიაკ ჯოჯოდ...

ვაი ჩვენ! ვაი ჩვენ... თუ განთავისუფლდა ეგ უქმური!...

მზექალა. მაგას ამ ჟამად მავნებლობის უნარი წართმეული აქვს... ნუ შესწუხდებით მაგისთვის!... (ფარნას) ზახეს ხალხმა შენს მოსვლამდე გადაუწყვიტა კოცონზე ცეცხლში დაწვა...

ფარნა. (შემკრთალი) ოჰო!..

ხალხი. ჩვენი მტანჯველი ცეცხლმა შეჭამოს... ჩვენი მტარვალი წამების შამფურზე!.

მზექალა. ხალხი მართალია...

ფარნა. (ამოოხვრით) დიაღ, ხალხი მართალია.. ბოროტს ბოროტების საწყაულით უნდა მიეწყოს!

ხალხი. ეგრეა, სწორეა!

ფარნა. მაშ აღსრულდეს თქვენი განაჩენი!.. ბოროტების გასაწმენდად ცეცხლი უკეთესი წამალია... (ჯადოქარს) გახსოვს, ჯადოქარო, რომ შენ ცეცხლში უნდა დაიწვა, როგორც მყრალი... დამეგობრება შემომთავაზე და მე რომ გიპასუხე: ნაგავი ხარ მეთქი! ეს სიტყვა გისრულდება ჩემდა უნებურად... და სამართლიანადაც, შე უბადრუკო!.. (ხალხს) წაიყვანეთ და შეასრულეთ თქვენი განზრახული!

ჯადოქ. (გორგზად გადაუტრიალებს თვალებს და უძღური სასოწარკვეთილებით) მაშ გათავდა ჩოველვე?!.. ოჰ, იყავით წყეულნი და შეჩვენებულნი...

ფარნა. უშენოდ უკეთ იცხოვრებს ქვეყანა!.. შენ დროება მოსჭამე, დრომ ახლა შენ შეგჭამა... ცხოვრების წესი ასეთია... (ვინც მოიუკვანეს, ისინივე წაიუკვანენ ჯადოქარს).

ხალხი. (მხიარულად) ახლა კი გადავრჩით სამუდამოდ ჭირსა და განსაცდელს.

ფარნა. დღეის შემდეგ დამყარდეს ჩვენს შორის მშვიდობა, სიყვარული და ძმობა...

ერთი. მაშ გაუმმრჯოს, ხალხო, ჩვენს მეფე პატარძალს! ჩვენს გამარჯვებას მტერზე! მისი დამარცხება საუკუნოდ! (მესაკრავენი უკრავენ ისევ სამ ხიარულოს. მცირე ხანს შემდეგ ცალი მხრიდან ტეტხლის შუქი მოეფინება იქაურობას და თანდათან ძლიერდება.)

ფარნა. ბოროტება, მტრობა-შური იწვის, ჰქრება სამუდამოდ!

(მოჭკიდებს ხელს მზეჭალას და აივნისკენ გაუმართებიან.)

ერთი. იწყება გაზაფხულივით ლამაზი ახალგაზრდა ცხოვრება... მაშ გაუმარჯოს მას!..

ხალხი. გაუმარჯოს... ქორწილი, ქორწილი დიდებული და მხიარული ჭერამდე!...

(მესაკრავენი უკრავენ მარშს. ფარნა და მზეჭალა აივანზე გადმოდგებიან, ხალხი უვირის)

ქორწილი, ქორწილი!..

დ. ნახუცრიშვილი.

(ფარდა).

დასასრული



მყინვარ-წვერზე ასვლა

შემოარდენის გუდე. მზადება.

27 მარიამობისთვე

ლასვენების შემდეგ ყველა ისევ მუშაობას შეუდგა. მეკარვეებმა დაიწყეს კარვის მართვა. კარავი მოათავსეს ქოხის ცოტა მოშორებით, რადგან მის აბლო არ იყო კარვის საკმარი მოედანი. კარავის მარცხნივ და წინაც დიდი ხრამი იყო, ხოლო უკან კლდოვანი გზა მყინვარისაკენ. წყალი იქ არსად იშოვებოდა, მხოლოდ დაბლა ხევში იყო, მაგრამ, რამდენიც არ ეცადენ, მისი ამოტანა ვერ მოახერხეს. ზოგს შუა გზაზე დაექცა, რადგან გზა გამაგრებული თოვლისაგან შესდგებოდა და თოვლზე ფეხი უსხლტებოდათ. კურტს, როგორც კი სამშვიდობოს მოუახლოვდა, სწორედ მაშინ დაუსხლტა ფეხი და ჩაიდნიანად ქვევით ჩაცურდა, ამიტომ იძულებული ვიყავით წყლის მაგივრად თოვლი გვეხმარა. საღამოს ქოხის გვერდზე დიდი ცეცხლი დავანთეთ. სუსხიანი საღამო იყო, ცა ჩვენდა სასიხარულოდ მოკრიალებული იყო და ღრუბელი არსად ჩანდა, შემდეგ კი თან და თან ყველაფერი ბურუსში გაეხვია და თვით მყინვარი, რომელიც მთელი დღე მშვენივრად მოჩანდა, ჯერ თითქოს თხელ ქსოვილში გაეხვია, შემდეგ ეს ქსოვილი თან-და-თან გასქელდა და ბოლოს წყვდიადმა მოიცვა სრულიად. ბალიმალ გვესმოდა ზვავის საშინელი გრიალი, რასაც მთები და ხევები ბანს ეუბნებოდენ.

მთელი დღე ყველა გაცხარებული მუშაობდა და მყინვარისაკენ გასამგზავრებლად ემზადებოდა. ჩემი ბანდულები ისე გაშეშებულიყო, რომ სრუ-

ლიად დამეკარგა მყინვარზე ასვლის იმედი, არ ვიცოდი რით დამელბო. არც სხვების ბანდულებს დასდგომოდათ კარგი დღე. მეც მათ მივბაძე: წავიღე და თოვლში ჩავფალი. ნახევარი საათის შემდეგ ისინი ისევ იმ დღეში დამხვდა, როგორც დავტოვე. შემდეგ ავიღე დიდი ქვა და თითქმის ერთი საათი ენერგიულად ვზილე, ამანაც არაფერი უშველა. მაშინ ავიღე ასმათის დიდი ფინჯანი, ჩავყარე თოვლი, ჩავაწვყე შიგ ბანდულები და ცეცხლზე შევდგი, ცეცხლმა კარგად იმოქმედა და რკინასავით გამხმარი ბანდულები დაალბო. შემდეგ მე და ასმათმა დავარიგეთ სამყინვარე სურსათი, რასაც შეადგენდა 1 გ. ნახმი, 25 ნაჭ. შაქარი, $^1/_8$ გ. შოკოლადი და ქონი $^1/_8$ გ. ამას გარდა, უნდა წაგვეღო კონიაკი და ზოგიერთი აუცილებელი წამალი, როგორც მაგ. ვალერიანის წვეთები და სისხლის შესაჩერებელი ბამბა. დილისთვის ყველაფერი მზად უნდა გვქონდა. დაძინების დროს სამყინვარე ტანისამოსი და ბანდულებიც ზედ უნდა ჩაგვეცვა და ისე უნდა დაგვეძინა.

მთელი ჩვენი ყურადღება მყინვარზე იყო-მიქცეული. ხშირად მივმართავდით იაგორას ამინდის შესახებ, მაგრამ იგი მუდამ გვიპასუხებდა, რომ მყინვარი სანდობი არ არის, ამ წუთს რომ კარგი დარია, მეორე წუთს შეიძლება მდგომარეობა ხელად გამოიცვალოს და გაავდარდეს,—ქოხში სამი ცირა: ვერა, სალომე, თამრო და მათთან ბება საგზაო ყავას გვიმზადებდნენ. წინდა-წინვე იყო პირობა დადებული, რომ ამ ღამეს იმათ უნდა ემუშავათ, ვინც ყინვარ-წვერზე არ მოდიოდა. არც ასე ადვილია 18 მათარა ყავის მომზადება, როცა წყალის უქონლობის გამო თოვლს ადნობ. თურმე შუა ღამემდე იმუშავეს.

შევარდენის ბუდე იმყოფება 3620 მეტრის სიმაღლეზე, ამიტომ ჰაერი იქაც საკმაოდ არის გათხელებული და ადამიანს სუნთქვა უჭირს, თითქმის მთელი ღამე არ გვძინებია, ღრმად ვსუნთქავდით და ისე გვეჩვენებოდა, თიოქოს უჰაერო ადგილას ვიმყოფებოდით. ღამე საშინლად აცივდა. ქარიც ამოვარდა და ჩვენს კარავში თავისუფლად დაქროდა.



ნაპრალი დევდარაკის მყინვარზე.

თუმცა კარავი მაგრა იყო დადგმული, მაგრამ მაინც გვეშინოდა, რომ ძლიერ ქარს არ მოეგლიჯა. თითქმის ერთი საათი მოუნდი ყველა სამყინვარე ტანსაცმელის ჩაცმას. ჩავიცვი თბილი საცვლები: შალის თბილი ბლუზა, მუხლამდე შარვალი ხავერდისა, ერთი წყვილი წინდა და ორი წყვილი გრძელყელიანი შალის ჩულქები. შემდეგ ბანდულებში ჩავაგე ბალახი, რომ ფეხი კარგა გაჩერებულიყო; ამის გარდა ჩემ მოართულობას შეადგენდა: ზევიდან ტყავის კურტკა, თავზე ფაფახი, შავი სათვალეები, ყელზე აბრეშუმის თავშალი, ხელში წერაყინი და ზურგზე პატარა ჩანთით საუზმე. აი ასე გამოწყობილი უნდა გავდგომოდით მეორე დილით მყინვარის გზას. ყველა ისეთი ვეებერთელა და უშნო შეხედულობისა ვიყავით, რომ მოგაგონებდით ჩრდილო პოლიუსის მცხოვრებთ—ესკიმოსებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევარდნის ბუდიდან მყინვარ-წვერამდე.

28 მარიამობისთვე

დილით ოთხის ნახევარზე უკვე ყველა ზეზე ვიყავით. ჯერ ისევ ბინდბუნდი იყო; ჩვენს გარშემო ისეთი ბურუსი იყო, რომ ქოხიდან კარავი არ ჩანდა.

თანდათან ბურუსი გაიფანტა, ხოლო ალაგ-ალაგ კლდეებზე თეთრად მიკრული დარჩა. ქვევით ხევებში ჩაწოლილმა ბურუსმაც, თანდათან მაღლა ამოიწია და რამდენიმე ხნით ისევ ბურუსში გავეხვიეთ, მაგრამ ამანაც ჩქარა გადაგვიარა თავზე. ერთად ერთი გზა მყინვარისაკენ შევარდენის ბუდიდან არის მისივე დასავლეთის მხრით აღმართული კლდოვანი ბილიკი, რომელიც სულ მაღლა მიიმართება. ჩვენც ერთნაირად მოწყობილნი 23 კაცი

გახა წიკლაურის კლდოვანი ბილიკი.
ზედ გახა წიკლაური და მარიამ პრეობრაჟენსკი.

ამ გზას დავადექით. თენდებოდა. თუმცა შევარდენის ბუდეში ბურუსი აღარ იყო, მაგრამ აქ ისევ ბურუსში გავეხვიეთ. ეს ბილიკი, რომელსაც მოხევეები **„გახა წიკლაურის კლდოვან ბილიკს“** უწოდებენ, [1]) წარმოადგენს ქედს, რომელიც წაწვეტილი მაღალი კლდეებით თავდება.

მივუახლოვდით „პირველ ოლგიშკას“ [2]). იგი წარმოადგენს ციხის კედელივით ამართულ პიტალო კლდეს, რომელსაც ახლა „კლდე-ქოხი „ჰქვია. მეორე ოლგიშკასთან („მყინვართ გუშაგნი“) შევჩერდით და, რადგანაც მზეც იყო ამოსული, სურათი გადავიღეთ. აქედან ბუმბერაზად ამართული მყინვარი სულ ახლო მოჩანდა და უფრო იზიდავდა თავისკენ მთელ ჩვენს არსებას.

[1]) გახა წიკლაური არის ცნობილი მოხევე, გამყოლი, რომელიც მყინვარზე 16 ჯერ ასულა.

[2]) „ოლგიშკა“—ქისტურია და ქართულად ნიშნავს კლდეს.

აი თოვლ-ყინულა ველსაც მივუახლოვდით; გვერდში გავუარეთ „მესამე“ **„ოლგიშკას“** („მრისხანეს“), საიდანაც ხშირად ინგრეოდა კლდეები და ქვევით ველისკენ მოგორავდა. აქ ერთ ღრმა ნაპრალს ავუარეთ გვერდზე. იგი ოდნავ იყო ჩატეხილი და ღრმა ყინულის ოთახს წარმოადგენდა. თოვლ ყინულა ველი წარმოადგენს ვებერთელა დაცემულ ველს, რომელიც დევდარაკის მდინარე ყინულისკენ არის დაქანებული. იგი დაფარულია მუდმივ თოვლ-ყინულით. ამ ველს თითქის ყოველ მხრივ—გარდა დევდარაკისა—მუდმივი თოვლით დაფარული მთები არტყია. მრავალგან არის ეს ველი დახეთქილ—დასერილი და დახეთქილია მთელი ველის სიგრძეზე სწორ ხაზოვნად. როგორც იგორამ გვითხრა ეს ველი ძალიან სახიფათო ყოფილა, რადგან იგი, მრავალ ას წლოვან თოვლით დაფარული, სავსეა ნაპრალებით, ხოლო ნაპრალები დაფარულია ახალი თოვლით. თუ დიდი სიფრთხი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით არ იარე, ადვილად შეიძლება ამისთანა ნაპრალში ჩავარდნა. ახლა უკვე ერთ რიგად მოვეწყეთ, აქამდი კი ერთმანეთში არეული მივდიოდით წინ იაგორა გაგვიძღვა, რომელსაც წელზე თოკი ება. ამ

დასვენება მყინვართ გუშაგთან.

გამყოლი (იანი ბუზურტანოვი) 17 საჟ. ნაპრალში ჩავარდა და იმ თოკით, რომელიც მას წელზე ება,

თოვლ-ყინულა ველის გადასვლა „მრისხანე კლდესთან“.

სრულიად უვნებლად ამოიყვანეს. საშინელი სიფრთხილით მიდიოდა წინ იაგორა, ის თითქოს ფეხის ხმით სცნობდა, სად იყო ნაპრალი და სად არა.

თოკის ბოლო მეორე გამყოლს ლევან ქუშაშვილს ეჭირა. იაგორა რომ ნაპრალში ჩავარდნილიყო, ამ თოკით ამოვწევდით და გადავარჩენდით. ჩვენმა გამყოლმა აბზი ბუზურტანოვმა, გვიამბო, რომ უწინ ხშირად რომელიმე ადგილს მარჯვნივ ან მარცხნივ უვლიდა. ამიტომ ჩვენც ძიხვეულ-მოხვეულად მივდევდით. ყველა ჩვენგანს ერთი მეორეს ნაფეხურზე უნდა გაევლო.

დარი მშვენიერი იყო, მხოლოდ ქარი ქროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადად ჩანდა მყინვარის ფერდობზე ქარისაგან მოწყვეტილი ზვავი, რომელიც დევდარაკისკენ მიექანებოდა. აგრეთვე ცხადად ჩანდა მისგანვე დამდგარი კორიანტელი. ყრუ გრიალიც აღწევდა ჩვენამდე

დასვენება თოვლ-ყინულა ველზე

დაახლოვებით შუა ველზე შევისვენეთ და სურათიც გადავიღეთ. ცოტა ხნით სათვალეები მოვიხსენი. ესეთი თვალის მომჭრელი ბრწყინვალება იყო, რომ თვალმა დიდხანს ვერ გაუძლო და სათვალეები ხელახლა გავიკეთე. ისევ გზას გავუდექით მალე წოწის (კონუსის) ძირს მივუახლოვდით, საიდანაც ციცაბო ალმართი იწყება. აქ საბოლოდ უნდა შეგვესვენა. ცოტა ვისაუზმეთ. ერთი ნაჭერი შოკოლადი შევჭამე, ყავაც დავაყოლე, მაგრამ ყავა ძალიან ტკბილი იყო და რაღაც უსიამოვნო გრძნობას იწვევდა. მაშინ რომ უშაქრო ყავა მქონოდა, უფრო სიამოვნებით დავლევდი. ზედმეტი ბარგი მოვიხსენით, მაგ. ჩანთები საუზმით თოვლში ჩავფალით; დავიტოვეთ მარტო მათარები ყავით, თუმცა ესეც ტყუილად წავიღეთ, რადგან ყავა მათარაში გაიყინა და ზედმეტ ბარგად გაგვიხდა. აქ თავს, ცოტა არ იყოს, ცუდად ვგრძნობდი. ცოტა თავი მტკიოდა და გულიც მერეოდა, რაც ტკბილ ყავას დავაბრალე (კარგა მახსოვდა გიორგის სიტყვები: ვინც თავს ცუდად იგრძნობს, მაშინვე უნდა დაბრუნდეს, თორემ ზევით უარესი დაემართებაო. ეს ძალიან მაშინებდა) აბა, რას ვიტყოდი, ან რა დამაბრუნებდა? უკვე ყველანი ერთ რიგად იყვნენ მოწყობილი და წასვლას აპირებდნენ. მე კი აბზი (ჩვენი მეგზური) **წრიაპს** [1]) მიკრავდა ფეხზე, არ ვიცი, ნებისით თუ უნებლიედ ის არ ჩქარობდა, ჩვენები კი ნელი ნაბიჯით უკვე წინ მიწევდენ. ამან ჩემზე ცუდად იმოქმედა. ხოლოა აბზი, რომელმაც, როგორც იყო, გაათავა წრიაპის შეკმვრა, მითხრა „ქალო, სად მიდიხარ, სულ ერთია შენ ვერ ახვალ და სჯობია ახლავე დაბრუნდეო.“ ვერ წარმოიდგენთ, ამისთანა ადგილას რა დიდი მნიშვნელობა აქვს გახალისებას, ამან კი იმისთანა სიტყვებით მომმართა, რომ ყოველგვარი ხალისი დამიკარგა. საშინლად მეწყინა, რადგანაც აქამდის არც ერთ გამყოლისაგან არ გამეგო ასეთი გადაჭრილი შეუძლებლობა მყინვარზე ასვლისა. ეს უკანასკნელი კი როცა მიზანთან ასე ახლო ვიყავი, მიცხადებდა: „სულ ერთია, ვერ ახვალ და სჯობია ახლავე დაბრუნდეო“ — ამას მიუმატეთ ისიც, რომ ჩვენები უკვე წასული იყვენ. მაგრამ ბევრა არ მიფიქრია და ჩქარი ნაბიჯით გამოვეკიდე მათ, რამაც ძალიან მომქანცა. აბზი კი რომელიც ძალიან დინჯად მოდიოდა, ნელ-ნელა ჩამოგვრჩა და ბოლოს უკან დაბრუნებულიყო. მხოლოდ შემდეგ მივხვდი ამ ქისტის აზრს. დაბრუნება უნდოდა, რადგანაც ქარისა ეშინოდა და მიზეზად მე-ვუნდოდი გავეხადე.

წინ ძალიან ნელი ნაბიჯით მივიწევოდით. დაახლოვებით ერთი მესამედი არ გვექნებოდა გავლილი, რომ ამინდი საშინლად გამოიცვალა. ბრწყინვალე მზე ნაცრისფერმა ბურუსმა დაჰფარა და ქარმა მოუმატა. ქვევით თოვლ-ყინულა ველი და მის გარშემო მდებარე მთეიბც ნელ ნელა ბურუსში გაეხვია. ახლა სიარული უფრო გაჭირდა, რადგანაც

[1]) წრიაპი არის ყინულზე სასიარულო ოთხ კაპიანი რკინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაყინულ თოვლში. საფეხურების ჭრა მოგვიხდა, აქამდე კი რბილ თოვლში მივდიოდით. უკვე საგრძნობლად აცივდა. ახლა ძალიან მჭიდროდ მივდიოდით, არც ერთი არ უნდა ყოფილიყო თვალიდან მიფარებული; წინ იაგორა მიდიოდა და საფეხურებს სჭრიდა. დანარჩენი ყველა აღრმავებდა ამ საფეხურებს. ახლა უფრო დინჯად მივიწეოდით წინ. საფეხურების გაჭრა კარგა დროს მოითხოვდა. არც ერთ მხარეს აღარაფერი ჩანდა, ყოველმხრივ მხოლოდ ბურუსია, ჩვენ კი დინჯად უხმოდ, მუშაობით წინ მივიწევით.

უცბად ეს მდუმარეობა ყვირილმა დაარღვია. ყველა შეჩერდა. ეს ფოია მაჭავარიანი იყო, რომელსაც ფეხები გაეყინდა და ძირს დაეცა, დროზე მიეხმარენ, — ფეხები ყინულით დაუზილეს, მოძრაობის უნარი მისცეს, მერე ისევ ჩააცვეს და ვანიჩკა კუკავაძის და ლევან ქუბაშვილის დახმარებით უკან დააბრუნეს. მათვე გაჰყვა გოგი ტოროშელიძე, რომელსაც ცალი წრიაპი დაჰკარგოდა. ფოიას მარცხი კი მისივე მოუფიქრებლობის ბრალია. მას საბანდული ბალახი დაჰკარგოდა და ბანდულები უბალახოდ წულებზე ჩაეცვა. წული მალე დასველდა, შემდეგ გაიყინა, ფეხებზე მოუჭირა და ფეხებიც მოაყინა რადგანაც დადხანს გაჩერება შეუძლებელი იყო, ჩვენ ისევ განვაგრძეთ გზა. ახლა მხოლოდ ერთი გამყოლი დაგვრჩა. გიორგიმ მოგვმართა:

ვისაც თავის იმედი არა აქვს, ან ცუდად გრძნობს თავს, სჯობია ახლავე დაბრუნდესო.

საფრთხე დიდი იყო. ეს გაფრთხილება უნაყოფო გამოდგა: არავინ მოინდომა დაბრუნება. განვაგრძეთ გზა. სულ ხუთ წუთს არ გაუვლია ფოიას დაბრუნების შემდეგ, —რომ ქვევიდან რაღაც ყვირილი მოგვესმა. ამ დროს იაგორასაც დაენახა რომ დაბრუნებულებიდან ვიღაც მოსწყდა და ქვევით დაექანა. გიორგიმ მაშინვე შეგვაჩერა და უნდა დავბრუნებულიყავით, მაგრამ იაგორამ დაბრუნება არ მოინდომა და სთქვა: დაღუპულისთვის დაბრუნება არ შეიძლება, ვინც მოუმზადებელი მოდის, დეე დაიღუპოსო.“ ჩვენც მას დავემორჩილეთ და გზა განვაგრძეთ. როგორც მერე გავიგეთ, თურმე ვანიჩკა დაგორებულიყო, კარგა ხანს ეგორავა და ბოლოს შეჩერებულა, თუმცა შეჩერების შემდეგ ბევრი ეყვირა: გადავრჩი, განაგრძეთ გზაო, მაგრამ ამ ხმას ჩვენამდე არ მოულწევია და საშინლად გვაფიქრებდა დაგორებულის ბედი. მუუახლოვდით შავ კლდეებს, რომელზედაც პირდაპირ ასვლა შეუძლებელია. აი ახლა დაგვადგება გაჭირება, გავიფიქრე რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ მაზე პირდაპირ, თოკების დახმარებით ავცოცდებოდით. მაგრამ მოვტყუვდით. იაგორამ მარცხნივ გადუხვია. საფეხურების ჭრა აქ უკვე პირდაპირ ყინულში მოგვიხდა. გზა ახლა გაცილებით უფრო საფრთხილო და ძნელი გახდა. ქარმა და ყინვამაც უმატა. თხელი აბრეშუმის თავშალი, რომლითაც მობურული მქონდა მთელი სახე, გაიყინა და ხესავით გამაგრდა. ხელთათმანები ჯერ დასველდა შემდეგ გაიყინა და იძულებული ვიყავი, გამეხადა. სწორედ ახლა შევამჩნიე მაჯებზე ყინულის სამაჯურები.

დაქანება—დაახლოებით 70°-მდე,—რომელიც შავ კლდეებამდე თოვლყინულა ველისაკენ იყო მიმართული, ახლა პირდაპირ დევდარაკის უფსკულისაკენ მიემართებოდა. ამიტომ ახლა უფრო ფრთხილად და დინჯად მივიწეოდით წინ. რაც მაღლა-მაღლა მივდიოდით, სიარული უფრო ძნელი ხდებოდა, ჰაერი საგძნობლად გათხელდა და სუთქვაც გაძნელდა. მთელი სილრმით ვსუნთქავ. თითქოს ჰაერი აღარ მყოფნის. საშინელი ბურუსია, ქვევით დაქანება ბურუსს უერთდება, ჩვენ კი მაღლა, მაღლა, თითქოს ჰაერში შევსცურავთ. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მეც ამ ჰაერში გავიფანტები და მასთან ერთად ცას შევუერთდები. მაგრამ ქარი მაფხიზლებს. ვასწორებ საფეხურებს. ისე მაღლა მივდივართ, ძილი იპყრობს მთელ ჩემს არსებას, მაგრამ ის აზრი, რომ ჩემი შეჩერება მთელ ექსპედიციას შეაფერხებს, მაფხიზლებს. ამას გარდა გიორგი რომელიც ჩემს უკან მოდიოდა, არ მაძლევდა გაჩერების საშუალებას. გამოფხიზლებული ვასწორებ საფეხურებს, ქვევით ვიყურები. თეთრი თოვლით დაფარული უსაზღვრო დაქანება ნაცრისფერ ბურუსს უერთდება. ქარის ხმაურობა, დროდა და დრო რაღაც გრიალი—სულ ერთი და იგივე. აქ წელზე თოკი მომაბეს, რადგან ეშინოდა, რომ არ დამძინებოდა და არ დავგორებულიყავი. ძალიან ვბრაზობდი, რადგან თოკის თრევა მევე მომიხდა. მყინვარზე ჩვეულებრივ ორ საათზე ადიან-

ახლა კი უკვე სამი საათია.

ხელახლა აღიძრა საკითხი დაბრუნების შესახებ. (როგორც მითხრეს, ახლა კი იაგორასაც მოენდომა დაბრუნება.) ისევ გაისმა გიორგის ბრძანება დაბრუნების შესახებ, მაგრამ მას ყურს არვინ უგდებს, და თითქოს ინსტიკტიურად ყველა წინ მიდის. იაგორა საფეხურების ჭრამ მოქანცა. ახლა ძმები სცვლიან მას. დაგვიანდა. ამ თოვლყინულოვან მთაში დაღამება ჩვენთვის აუცილებელი დაღუპვაა, მაგრამ სურვილი სჭარბობს გონიერებას. ზევით ვიყურებით. თუმცა მწვერვალთან სულ ახლოვართ, მაგრამ ის მაინც არა ჩანს, ბურუსშია გახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეული. ისევ საფეხურებს სჭრიან, ოთხის ნახევარს აღაფერი აკლია.

—დავბრუნდეთ! დავბრუნდეთ! დაგვიანდა, სუყველა დავიღუპებით, თუ დაგვიღამდა! გაისმა გიორგის ბრძანება, რის პასუხადაც წინიდან მოისმა: „ავედით! ავედითო!.“ უცბად ჩემ წინ მყოფნი გაქრენ; ზევითაც ვერაფერი დავინახე, მიკვირს სად ავიდენ? სწორეთ ამ დროს საშინლად მომინდა ძილი. ჩავჯექი საფეხურში, თავი თოვლზე დავდე; მაგრამ მალე გამოვფხიზლდი და მეც მწვერვალზე გავჩნდი.

მწვერვალზე სრულიად გამოვფხიზლდი და სიხარულისგან პაწია ბავშვივით დავიწყე ხტუნვა, თან გაყინულ ხელებს ვიქნევდი. მაგრამ ამ დროს ქარმა დაუბერა და საჩქაროთ იმავე ადგილას ჩავჯექი და ხელი წერაქვს დავაბჯინე. აუწერელია ის აღფრთოვანება, რასაც ყოველი ჩვენგანი განიცდიდა. ავტეხეთ ვაშა, ვაშას, ძახილი. საიდანღაც გაჩნდა ორი ვაშლი, რომელიც ატოს მყინვარზე შესაჭმელად წამოეღო, ეს ორი ვაშლი თვრამეტმა კაცმა შევჭამეთ. ყველა ის სანახაობა, რის დანახვასაც მოველოდით ჩვენ მყინვარიდან, ჩვენთვის ბურუსით იყო დაფარული. (მყინვარიდან ხომ თითქმის მთელი კავკასია მოჩანს შავიდან კასპიის ზღვამდე) ერთად ერთი ეს გვწყვეტდა გულს. მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ კვლავ, როცა კარგ დარში ავალთ მყინვარზე, მაშინ დავინახავთ ყველაფერს. რამდენიმემ დაიძახა: სურათი გადავიღოთო (არ ვიცი ამ ბურუსში გამოვიდოდა რამე თუ არა) და მიმართეს ბაუმ-ჰაუერს, რომელსაც პატარა აპარატი ჰქონდა თან. პასუხის მაგიერ ისე შემოგვხედა, თითქოს ჩვენი მოსპობა უნდოდა ამით. მწვერვალზე სულ ცოტა ხანს დავრჩით, რადგან გვიგვიანდებოდა, და ჩამოსვლა დავიწყეთ.

ჩამოსვლა სრულებით არ გამძნელებია, აღარც მეძინებოდა და სრულიად გამოფხიზლებული მივდიოდი. სიძნელის მხრივ კი ჩამოსვლა უფრო ძნელია, რადგან საფეხურები სულ დანგრეული იყო და ხელ ახლა მიხდებოდა მისი გაკეთება. ყველაზე უკან ვიყავით მე, გიორგი, ატო უკან აღარავინ გვეგულებოდა, წინ წასულებიც ზოგი სულ არ ჩანდა, ზოგნი კი ბურუსში ლანდებივით მოჩანდენ. რამდენჯერმე შევისვენეთ. შავ კლდეებს მივუახლოვდით. თითქმის დაოთხებული

მთამსვლელი მთიდან ჩამოსვლის დროს საფეხურებს სჭრის.

მყინვარის წოწიდან ჩამოცურება.

მოვცოცავდი, რადგან საფეხურები დანგრეული იყო. მარცხენა ხელს ზევით ასვლის დროს წერაყინისგან დატოვებულ კვალში ვარჭობ, ამავე დროს მარცხენა ქუსლს მაგრა ვარჭობ ყინულში, მარჯვენა ხელით წერაყინი გადამაქვს წინ და მარჯვენა ფეხიც წინ გადამაქვს და ასე დინჯად მივდივარ. სხვებიც ჩემსავით მოცოცავდენ, რადგან სხვანაირად შეუძლებელი იყო. გავიარეთ შავი კლდეები. ახლა, თითქოს ალღოთი ვიგრძენ, რომ ასე სიარული აღარ გამომადგებოდა. დავჯექი ფეხებ გაშლილი და ასე დავიწყე ქვევით ჩაცურება ძალიან ფრთხილად, რადგან დაქანება ძალიან დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია და ადვილად შეიძლებოდა დაგორება, როგორც კი სისწრაფე ნამეტანი მომემატებოდა წერაყინს ვარჭობდი და ვჩერდებოდი. ჩვენ წინ სწორედ ჩემსავით მარო ტყავაძე მიცოცავდა. ცოტა ხნით შევჩერდით, ქვევით ვიყურებოდით, ამ დროს მარო ტყავაძე მოწყდა და ქვევით კოტრიალით წავიდა. მე და გიორგი შეშინებული ხან ერთმანეთს ვუყურებდით, ხან მაროს, მარო კი პირდაპირ კურტისკენ მიგორავდა, რომელიც დაგორებულ მაროს ვერა ხედავდა და არხეინად მიდიოდა ქვევით. აი მარო მიუახლოვდა კურტს, დაეტაკა (თუმცა ჩვენ ზევიდგან განწირულის ხმით ვუყვიროდით კურტს) მას და ორივემ კოტრიალით განაგრძეს გზა, ბოლოს ორივე ბურუსში დაიმალა. საფრთხე დიდია. თუ ისინი თოვლყინულა ველისკენ წავიდნენ, არაფერი დაუშავდებათ, ხოლო თუ თევდარაკის ხევისკენ—უეჭველად დაიღუპებიან. გიორგი, რომელიც აქამდის გაშტერებული იჯდა, უცბად წამოხტა და სირბილით გაიქცა ქვევით, რომ გაეგო, თუ რა დაემართა დაგორებულებს. ცოტა ხნის სირბილის შემდეგ ისიც ყირამალა გადავარდა და გორაობით განაგრძო გზა. ამ დროს ქარმა ააფრიალა რაღაც ქაღალდები და წერაყინიც გზაზე დარჩა. მე სრულიად მარტო ვიჯექი და გულის კანკალით ვუყურებდი ამ სურათს. მალე გიორგიც ბურუსმა დაჰფარა. არ ვიცოდი, თუ რა დაემართა მას, ან კურტს და მაროს. მე უფრო მეტი სისწრაფით დავიწყე დაბლა ჩაცურება. მალე შორს ბურუსში გავარჩიე გიორგი, რომელიც უკან ამოდიოდა გზაში დარჩენილ წერაყინისთვის. აქვე მეორე წერაყინი ეპოვა, რომელიც ვანიჩკას დაგორების დროს დარჩენოდა. დაგორებულებს თოვლ ყინულა ველამდე ეგორავათ და იქ წოწის ძირში შეჩერებულიყვენ. სწორედ ამ დროს ზევიდან რაღაც ყვირილი მომესმა. ვიღაცა გიორგის უძახდა. მაშინ მას მე არავითარი ყურადღება არ მივაქცევ, თუმცა ის დიდხანს ყვიროდა, ატო, რომელიც ჩემს უკან იყო, უკან დაბრუნდა და იმ საშინელ ციცაბოზე ხელახლად ავიდა, იქ თურმე ჭორა ალიხანოვი დარჩენილიყო და გიორგის უძახდ. მას წრიაპი მოხსნოდა გაყინული ხელებით ველარ შეეკრა და ქვევით ველარ მოდიოდა. ატოს დახმარებით მალე ისიც მომეწია. მთელი გზა წოწის ფუძემდე ასე სრიალით ჩავიარე, რაც, ცოტა არ იყოს, მომეწონა. მართლაც სასიამოვნოა გაყინულ თოვლზე, რომლის დაქანებაც კარგა დიდია, ასე ცურაობით ჩასვლა, მალე დაქანება თან და თან შემცირდა და ცურაობით ჩასვლა გაძნელდა. იძულებული ვიყავი „ეტლიდან“ ჩამოვსულიყავ, ქვევით ლიდუსია კონიაკით და გიორგი დაგვხდენ, რომლებიც ჩვენ გველოდებოდენ. მალე ჭორა და ატოც მივიდენ და ერთად წავედით. უკვე ბინდებოდა, ამიტომ ძალიან ვეშურებოდით. რადგან ჩვენს გარდა ყველანი წასულიყვენ და გვეშინოდა, რომ გზა არ აგვრეკოდა. გადავიარეთ თოვლ ყინულა ველი. „ყინვართ გუშაგთან“ ლევან ქუშაშვილი დაგვხდა, რომელმაც პირველად ფოია ჩაიყვანა, შემდეგ მარო ტყავაძე და არც ჩვენ დავვიწყებოდით. მისი შეხვედრა ჩვენ ძალიან გაგვახარა. გამოვკითხეთ ფოიას, დაგორებულ ვანიჩკას და მაროს ამბავი, მან გვიპასუხა, რომ ყველანი კარგად არიან და თქვენ გელოდებიანო. მივუახლოვდით გახა წიკლაურის კლდოვან ბილიკს. აქ „ქვევით“ მშვენიერი მთვარიანი ღამე იყო და მთვარის სინათლეზე ეს გზა ლამაზად მოჩანდა, ქარიც შესუსტდა, შორს ქვევით შევარდენის ბუდიდან მკრთალი სინათლე მოჩანდა. მდუმარებს მხოლოდ ჩვენი ფეხების ფრატუნი არღვევდა. ჩემი ბანდულები ისე წახდა და დაიღრიცა ამ კლდეებზე სიარულით, რომ ფლოსტებივით მივათრევდი. ვეებერთელა ამართული კლდეების სილუეტები მთვარის სინათლეზე თხელ ბურუსში გახვეული რაღაც ფანტასტიურ სურათებს წარმოადგენდა. ზოგი მათგანი წელში მოხრილ მოხუცს მოგაგონებდათ, ჯოხით ხელში, ზოგი ცხენოსან მხედარს, ზოგი ხელებაპყრობილს ადამიანს და სხ.

შევარდენის ბუდეში ყველა აღტაცებული შეგვხვდა. ვულოცავდით ერთმანეთს დღევანდელ გამარჯვებას. ყველანი დიდ კარავში თავმოყრილნი მომავალ მგზავრობაზე ვოცნებობდით, რადგან ხვალ ან ზეგ გველეთიდან დარიალის ხეობით ძაუგში (კავკავი) უნდა წავსულიყავით. ჩვენს მიზანს ხომ ვეწიეთ, 18 კაცი უვნებლად ავედით მყინვარწვერზე. ღამე საშინელი ცივი და ქარიანი იყო, ამას გარდა, რადგანაც გზაში რამდენჯერმე მოვიხსენი სათვალეები, თვალები საშინლად მტკიოდა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს თვალებში ეკლიანი გორგალი დაგორავდა. ელიკოს თვალები უფრო ცუდ დღეში იყო, რადგან ის ხშირად იხსნიდა სათვალეებს.

მეორე დღეს ყველა რაღაც საშინელი შესახედაობის ვიყავით. ტუჩები უმეტესობას დახეთქილი ჰქონდა, სახე გაშავებული, უფრო კი ჟანგის ფერი. ამ მხრივ მე ყველაზე უკეთესს მდგომარეობაში ვიყავი, რადგანაც მყინვარზე ასვლის დროს მთელი სახე დაფარული მქონდა თავშლით. ისეთი საზარელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახედისა ვიყავით საერთოდ ყველანი, რომ არ მეგონა, თუ ოდესმე ისევ ადამიანებს დავემზგავსებოდით. ყველაზე ცუდ მდგომარეობაში ჩვენი ხელები იყო, სწორედ ნახშირის ფერი, დღესაც ვერ გამომირკვევია, ჭუჭყი იყო ამის მიზეზი, თუ იმ მაღალი მთის ჰაერის ქიმიური ზეგავლენა.

მყინვარზე ასულთა სია: ლორთქიფანიძე ელიკო, ნიკოლაიშვილი ასმათ, ტყავაძე მარო, ჩხეიძე ლიდა, ბეჟანიშვილი მარო.
ძმები: ალნიაშვილი ატო, ალიხანოვი ჟორა, ბაუმჰაუერ ფრიდრიხ, კილაძე სანდრო, კუკავაძე ვანჩკა, მამამთავრიშვილი შაქრო, მჭედლიშვილი ვასო, მათიაშვილი მიშა, ნიკოლაძე გიორგი, პაკენ-დორფ კურტი, ჭინჭარაძე მიშა, გამყოლნი: **კაზალიკაშვილი იაგორ,** სტავროპოლელი რუსი: **ჩუმიხინი.**

შევარდნის გუდე, დიდებულიძის ექსპ, მოსვლა დევდარაკზე, დევდარაკისაკენ გამგზავრება.

29, 30 მარიამობისთვე

მეორე დღეს ყველანი დიდ კარავში თავ-მოყრილნი დიდი ამბით ვადგენდით თბილისს გასაგზავნად დეპეშებს ჩვენი ასვლის შესახებ. რამდენიმე ძმა იმ დღესვე წავიდა ქვევით: ჟორა და ბორია—კავკავს, რადგანაც ჟორას ძალიან აწუხებდა თვალის ტკივილი, სანდრო და მიშა ჭინჭარაძე—გველეთს, სადაც ჩვენთვის ბინა და საზრდო უნდა მოემზადებინათ. დარი ფუჭდებოდა. ცა ღრუბლებით იმოსებოდა და ალბათ ამ ერთ კვირას მაინც აღარ გამოიდარებდა. ერთი დღით რომ დაგვეგვიანა, მყინვარზე ველარ ავიდოდით, რადგან საშუალება არ გვექნებოდა იქ დარის ცდისთვის. მეორე დღეს კიდეც გაავდარდა, ოდნავ სცრიდა. მოსალოდნელი იყო უფრო ცუდი დარი, მაგრამ ქვევით წასვლას არა ვჩქარობდით. ნაწილს კი ძალიან უნდოდა წასვლა; ცოტა სურსათი კიდევ დაგვრჩა, წაღება გვეზარებოდა, გვინდოდა აქვე გაგვეთავებინა და ისე წავსულიყავით, რადგან უიმისოდაც ბევრი ტვირთი გვქონდა ჩასატანი. ის ტვირთი, რომელიც ზევით 18 მზიდავმა ამოიტანა, აქედან ჩვენ უნდა წაგვეღო. საშინლად მოგვაბეზრა თავი ამ ტკბილმა და ნოყიერმა საჭმელმა, გვენატრებოდა პური და რამე მარილიანი საჭმელი მაგრამ ამ მთების მოშორებაც ძალიან გვენანებოდა, აგერ მეორე დღეა, რაც მყინვარი სქელ ბურუსშია გახვეული და აღარ დაგვინახავს

ახლა უმთავრესი ჩვენი ყურადღება დევდარაკისკენ არის მიპყრობილი, რადგანაც დიდებულიძის ექსპედიციას მოველოთ, აი ქვევით რაღაც მოძრაობა შევამჩნიეთ და დავრწმუნდით, რომ დიდებულიძის ექსპედიცია მოსულა დევდარაკზე, რამაც ძალიან გაგვახარა. ავდექით და ერთხმად დაუწყეთ ძახილი სოსო ასლაშვილს თითო მარცვლის გაგრძელებით (სოსოც იქ უნდა ყოფილიყო), საჩქაროთ გადავწყვიტეთ დევდრაკისკენ გამგზავრება, შევკარით ტვირთი და შეძლების დაგვარად გავანაწილეთ. ყველა

საშინლად დაიტვირთა ამ ტვირთის შეკვრის დროს დამთავრდა ტრაღიულად ატოს ვარდისფერი თბილი საბნის ბედი, რომელსაც ყველა და, უნდა ვსთქვა, მეც (რადგან ღამე ძალიან მციოდა ხოლმე) შურის თვალით ვუყურებდით. იგი სრულიად თავის ნებით დაგორდა და ხრამში გადიკარგა, რითაც ატოს ტვირთი შესამჩნევად შემსუბუქდა.

ძალიან გულ დაწყვეტით გამოვემშვიდობეთ შევარდენის ბუდეს, სადაც მრავალი წარწერები დავტოვეთ და ჩამოსვლა დავიწყეთ მაგრამ როგორ ჩამოხვალ? კლდეები დასველებული და ლიპია, რის გამოც დიდი სიფრთხილეა საჭირო ამას გარდა წვიმით გაჟღენთილი კლდეები უჯრო ადვილად იმზღვრევა, სწყდება. ჯერ ათი მეტრიც არ ჩამოგვეარა, რომ კოწიას გაუფრთხილებლობით მოსწყდა ვებერთელა კლდე და ფოია და პავლიკი კინაღამ თან გაიტანა, რომლებიც ისე სხარტათ გახტნენ; ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ, რომ თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი. თუ არა მათი სიმარჯვე, ორივე დაიღუპებოდა ამან ისე იმოქმედა ჩვენზე, რომ უფრო მეტი სიფრთხილით დავიწყეთ ჩამოსვლა. ბარგს ვიგორებდით, მაგრამ აქაც დიდი სიფრთხილე იყო საჭირო, რომ ბარგი ისეთ ხევში არ ჩაგორებულიყო, საითაც ჩვენ გზა არ გვქონდა. ჩემი ტყავის კურტკა სრულიად დასველდა და წყლით გაიჟღინთა, რომ აივეწონა, ალბათ, ერთი ფუთი გამოვიდოდა. ამას გარდა მომქონდა ჩემი საკუთარი ტვირთი და ნაწილი საერთოდან. ჯერ ნახევარი გზაც არ გვექნებოდა ჩამოვლილი, რომ დაიმსხვრა გიორგის აპარატი, რომელიც საგანგებოდ ებარა, პავლიკს. ის იყო კლდოვანი გზა ჩამოვიარეთ, როცა დიდებულიძის ექსპედიციის ნაწილი შეგვხვდა, შევარდენის ბუდისკენ მიმავალი—მათში ერია ერთი ქალიც (ჯაფარიძე) მათ მოგვილოცეს გამარჯვება, ცოტა ამბებიც გამოვკითხეთ ერთი მეორეს და მალე ისევ ჩვენ—ჩვენი გზა განვაგრძეთ. გადავიარეთ დევდარაკის მყინვარზე და მივედით ნანგრევებთან. დიდებულიძის ექსპედიცია და სოსოც. დიდი სტუმრათ მოყვარეობით შეგვხვდნენ დასველებული და გაყინული შემოვუსხედით ცეცხლს, სადაც დიდებულიძის ექსპ. მზიდველები ჯიხვის მწვადს სწვავდენ ისინი ისე გემრიელად შეექცეოდნენ ამ მწვადს ჭადსა და ყველს, რომ ჩვენ, დამშეულებმა, ველარ მოვითმინეთ და მე და ელიკომ ვსთხოვეთ. პირველად ჩვენი თხოვნა დაკმაყოფილეს, მაგრამ, აბა რას გვიყოფოდა, თითო ლუკმაც არ გვერგო. გამოვძებნეთ შოკოლადი და დავიწყეთ გაცვლა. იმათაც ისარგებლეს და ვებერთელა ნაჭერ შოკოლადში იმდენსავე ჭადს გვაძლევდენ. ძმებმა ნანგრევებ შორის კარვები შაშალეს. მისგვერდით დიდი ცეცხლი ავანთეთ ცეცხლზე ლევან ქუჩიშვილის მოკლული ჯიხვის ხორცი იხარშებოდა და ჩვენც მოუთმენლად ველოდით მას.

დაღამდა დაღალულ-დაქანცულებს მოსვენება გვჭირდებოდა, მაგრამ სად დავწვებოდით, როცა მშრალი ადგილი არსად მოიპოვებოდა? ჩვენც მთლად სველები ვიყავით არც კარავში იყო უკეთესი მდგომარეობა წვიმა ჩამოდიოდაა მთელ სხეულში რალაც სინოტივეს ვგრძნობდი. წვიმის წვეთები ხან კისერში ჩაგვეცემოდა, ხან სახეზე.



დევდარაკის მყინვარი და ბარტ-კორტის ქედით მყინვარ-წვერის გზა

1. **კლდე ქოხი** 2. **მყინვართ-გუშაგნი.**

დევდარაკის მყინვარიდან თბილისამდე.

ღილით ადრე ავდექით, სიცივემ და წვიმამ ისე შეგვაწუხა, რომ თითქმის მთელი ღამე არ გვძინებია, თუმცა სუნთქვა აქ გაცილებით თავისუფლად შეიძლებოდა და ვიდრე შევარდენის ბუდეში. საზოგადოდ, მაღალ ადგილებში და მთებში სუნთქვა ძალიან ძნელია, რადგანაც იქ ჰაერი გათხელებულია, რაც განსაკუთრებით მოქმედობს ფილტვებზე და გულზე. დავარიგეთ ჩვენი უკანასკნელი საუზმე. რასაც შვადგენდა ნახმის ფხვნილი და კარაქი, რომელიც ძმებმა ერთანეთში აურიეს და ისე შეჭამეს. გამოვემშვიდობეთ დიდებულიძის ექსპედიციას და გველეთისკენ გავსწიეთ. ისევ წვიმდა. ირგვლივ ყველაფერი სქელ ბურუსში იყო გახვეული. საშინლად დატვირთულებს ამ უკანასკნელი მაძილის ჩამოვლა ძალიან გაგვიჭირდა. ბარგს ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორებდით, მაგრამ ხშირად იგი ისეთ ალაგას ჩაგორდებოდა ხოლმე, რომ მოძებნა და უკან ამოტანა გვიხდებოდა. ზოგიერთი ჩვენგანი და მეც სრულიად ფეხშიშველი მივდიოდით, რადგანაც ფეხსაცმელი გაგვიცივდა.

ოთხი საათი იქნებოდა, როცა გველეთში მივედით, სადაც სანდროს ჩვენთვის ბინაც და კარგი საუზმეც მოემზადებინა. ამდენი ხნის კლდეებში და თოვლში ყოფნის შემდეგ ეს პატარა ოთახი რაღაც ზღაპრულ დარბაზად გვეჩვენებოდა. არაჩვეულებრივ სტუმართმოყვარეობით შეგვხვდენ ამ ბინის პატრონი ქისტები, მაგრამ აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ წამოსვლის დროს ოთახის და ლოგინის ქირაც კი გადაგვახდევინეს. ერთი ღამე დავრჩით გველეთში და მეორე დილით ორთვალა ცხენის ურმებით ძაუგისკენ გავემგზავრეთ.

მშვენიერი დარი იყო და დარიალის ხეობის სილამაზე მთელი თავის სიდიადით თვალ წინ გადაგვეშალა. გზა მომწყვდეულია უზარმაზარ კლდოვან ქედებს შორის, რომელთა შუა თერგი მიღრიალებს. ალაგ-ალაგ ხეობა ისე ვიწროვდება, რომ თერგის მრისხანე ტალღები კლდეებს ეხეთქება და

კასპიის ზღვაზე (დარუბანდში).

ლაქში საბლოოდ დავისვენეთ და მოვკეთდით კიდეც. ოთხი დღე დავრჩით ძაუგში და, რადგანაც ის მავალა, რომელიც თფილისიდან უნდა გამოეგზანათ, იგვიანებდა, ჩვენ კი ფული გველეოდა, მას აღარ მოუცადეთ და მატარებლით წამოვედით.

სრული ოთხი დღე ვიმგზავრეთ მატარებლით. ერთი დღე კასპიის ზღვაზე გავატარეთ, რადგან მატარებელი ერთი დღე დარუბანდში გაჩერდა, რომელიც კასპიის ზღვის პირას არის. ამ ოთხმა დღემ ხომ სრულიად მოგვაკეთა და დაგვასვენა.

ყველა არაჩვეულებრივად დავსუქდით. თბილისში აღტაცებით შეგვხვდენ და საშინლად უკვირდათ, რომ ყველა ჯანსაღად და სრულიად უვნებლად დავბრუნდით. მართლაც სრული ცხრამეტი

დროთა განმავლობაში თვით ამ პიტალო კლდეშიც კი გამოუჩრია კალაპოტი აუწერელია ის აღტაცება აღფრთოვანება, რაც ჩვენში გამოიწვია დარიალის ხეობაში მგზავრობამ. აი, გავიარეთ სადარაჯო გათავდა საქართველო, გადავედით რუსეთში. საზღვარზე ავტეხეთ ყვირილი და საქართველოს ვემშვიდობებოდით. დარიალის ვიწრო ხეობა თანდათანობით გაგანიერდა და ის უზარმაზარი კლდოვანი მთები, რომელსაც თვალსაც კი ვერ ვუწვდენდით, შემცირდა და ბოლოს სულ დაილია. ახლა გზა მიდიოდა დიდ ველზე. მხოლოდ შორს მარჯვნივ და მარცხნივ მთები მოჩანდა.

კარგა ადრე იყო, როცა ქ. ძაუგს მივედით.

ქ. ძაუგი მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირზეა გაშენებული. ეს ქალაქი ლამაზია და ეტყობა, წინათ უკეთესი უნდა ყოფილიყო ამ ჟამად კი მომეტებული სახლებისა დანგრეულ — გადამწვარია რევოლიუციის დროს. ქალაქში მშვენიერი ბაღია შუა ბაღში კი თერგის ტოტია გაყვანილი ნავებით საცურაო აუზისთვის, სადაც საღამოობით დავცურავდით. აქვე არის მოწყობილი საბანაო აუზი. იმდენი გაჭირვების გადატანის შემდეგ ჩვენ ამ ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე გაგრძელდა ეს „გაფრენი“. ვინ იცის, რამდენი გაჭირვება და უხერხულობა გადავიტანეთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავადაც კი არავინ გაგვხდომია, რადგანაც ჩვენ წინდაწინვე შევეჩვიეთ სიცივესაც, სიცხესაც და ყოველგვარ გაჭირვების გადატანას პატარ-პატარა გაფრენებით. თუ ადამიანი დაუახლოვდა ბუნებას, იგი მას ველარ მოშორდება და, თუ მოშორდა, იგრძნობს რაღაც უდიდეს ნაკლს თავის ცხოვრებაში. ბუნებასთან დაახლოება აფაქიზებს და ამაღლებს ადამიანს.

სწორედ ამ მიზნით საქ. გეოგრ. საზოგადოებასთან დაარსდა მგზავროსანთა (ტურისტთა)

მყინვარ წვერზე ასულ ქალთა ჯგუფი: მარცხნიდან მარჯვნივ: სხედან: ლიდა ჩხეიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი. დგანან: მარო ტყავაძე, ელიკო ლორთქიფანიძე, მარო ბეჟანიშვილი.

განყოფილება. წევრებს მიზნად აქვთ დასახული საქართველოს ყოველ მნიშვნელოვან და საინტერესო კუთხის დათვალიერება, ყოველ მაღალ მწვერვალზე ასვლა. ჯერჯერობით ეს განყოფილება უმთავრესად ჩვენი ჯგუფიდან შესდგება, მაგრამ სასურველია, რომ არა მარტო ერთი ჯგუფი ემსახურებოდეს ამ მიზანს. ყოველი ქართველი მოვალეა შეისწავლოს და თავისი თვალით იხილოს ჩვენი ქვეყნის ყველა ის ლირსშესანიშნავი ადგილები, რომელიც მრავლად მოიპოვება საქართველოში.

აქამდე ინგლისელები, გერმანელები და საზოგადოდ უცხოელები მრავლად მიისწრაფოდენ ჩვენი ბუნებისკენ, ჩვენი მწვერვალებისკენ, ხოლო თვით ქართველები კი არა. იმედია, ახლა ქართველების ჯერიც დადგება და ჩვენი ქართველთ „პირველი ასვლა მყინვარწვერზე“ ამის წინამორბედი იქნება.

მარო ბეჟანიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლიანი შურისძიება

(ბავშობის მოგონება).

ინდათ გებაასოთ ზაფხულზე, ჭალებში სირბილზე, თევზაობაზე, ნადირობაზე?

ბევრი რამა მაქვს მოსაგონარი ბავშობისას ასე დარდიმანდულად გატარებულ დროებაზე.

მართლადაც უნდა გამოვტყდე და გულზე ხელდადებითა ვსთქვა: სწავლა მე არას დროსაც არ მეზარებოდა. პირიქით მე ყველაზედ ბეჯითი შეგირდიც ვიყავი. მხოლოდ მოახლოვდებოდა თუ არა დათხოვნის დრო, მეც დამიწყებდა გული ფანცქალს მტრედის ხუნდივით.

აჰა, დაგვითხოვეს კიდეც!

ჩვენები უკვე ემზადებიან. ბარგი-ბარხანასა ჰკრავენ. მე სიხარულით მთელ დღეს ხურჯინებში და მაფრაშებში ვკოტრიალობ.

წასვლის დღეს ხომ სულ ციბრუტივითა ვტრიალებდი. რაღად მინდოდა ან სასმელი, ან საჭმელი? ერთი ჩქარა კი დავიძრათ, მივაღწიოთ ი საოხრო სადგურსა.

აი მივედით კიდეც. ჩავსხედით ვაგონში,

დარეკეს პირველი ზარი. ღმერთო! ეს რა ნეტარება!

მეორე ზარს კი ეს დაწყევლილები, დახეთ, როგორ აგვიანებენ ჩემ ჯიბრზე!

როგორც იქნა ჩამოჰკრეს მეორეც.

მესამის ლოდინში კი პირდაპირ სული მელევა. ნეტა როდის ვეღირსებით ამ საოხრო მესამე ზარს!

აჰა, ჩამოჰკრეს მესამეც. ძლივს! ძლივს!

ახლა კი მშვიდობით ქალაქო! მშვიდობით შემოდგომამდე!

ახლა კი ვენაცვალე სოფლის გზა-და კვალსა! ვენაცვალე იქაურ ჯეჯილებს, ჭალებს, ხვნა თესვას, კალოობას. იწყება ჩემი დღეობაც. გიხაროდეს სოფლის ტოლ-ბიჭებში ნავარდი. მერე როგორ ვეჯიბრებით ხოლმე ერთმანეთს სირბილში, ცურაობაში, თევზაობაში, მწყრების დაჭერაში!

რამდენი კაი ბიჭისთვის მიჯობნია, ერიჰაა! ვინ ჩამოგვითვლის ამასა!

ჩემზე მეტად ჩვენ პატარა ტეტიკელებს გაეხარდებათ ხოლმე ჩემი ნახვა.

პირველ დღეს სულ აზიზათ მეკიდებიან. მეპატიჟებიან. მეუბნებიან თავიანთ ახალ ამბებს, მაგრამ შემეჩვევიან თუ არა, უყურე მერე ჩვენ ალიაქოთსა.

ეჰ, რამდენჯერ შემოუფხრეწია ჩემთვის ახალი ხალათი და პერანგი ჭიდაობაში, სალაობაში, ჩილიკობასა და სხვა უბედურობაში.

ერთი უნდა ვსთქვა, რომ დღე სოფელში დარჩენა ძალიან მეზარებოდა ხოლმე. ან რა უნდა მეკეთებინა? მამასახლისი მე არ ვიყავი და ჩაფარი.

მოვიტეხავდი ერთ კარგ ჰურის ყუას და საცულლუტოდ გამზადებულ ჩემ ტოლებთან ერთად გავსწევდით ჭალისკენ. თან წავიყვანდით ხოლმე მურიას. როგორ გვიხაროდა, როგორ ვხითხითებდით, ის რომ ცაში მფრინავ ყვავებსა და კაჭკაჭებს დაუწყებდა დევნასა.

არც კალათები გვავიწყდებოდა მარწყვისათვის.

დედავ! მერმე რამდენი მარწყვი იცოდა ჩვენ ჭალის პირებში!

კაი ლალის თვლები რომ იქნება მობნეული მწვანე ხალიჩაზე ისე ღაჟღაჟებდა ხოლმე მთელი მინდორი.

გავყვებოდ-თ ადგილიდან ადგილს, მინდვრიდან-მინდორს და ასე გამოგვიღამდებოდა მთელი დღეც.

მეტადრე რა ჟრიამული შეგვიდგებოდა ხოლმე თუ რომელიმე ჩირგვიდან კურდღელსაც წამოვახტუნებდით.

ჯოგეულად გავეკიდებოდით უკან ჟივილ ხივილით. წინ ჩვენი მურა მიძუგძუგებდა, მაგრამ ყურცქვიტა კურდღელი ყველას გაგვისწრებდა და ვრჩებოდით ყველანი პირში ჩალა გამოვლებული.

მაგრამ თუ ბაჭიებს მოვკრავდით თვალს, ისინი კი ველარსად წაგვივიდოდენ ხოლმე.

რამდენი ბუდე მომიშლია! რამდენი ჩიტის ცოდო დამიდვია, ერიჰაა, ვინ დათვლის! ახლა კი ვხედავ, თუ რა სიბრიყვეს ჩავდიოდი და სინანულით მევსება გული.

თევზაობა მიყვარდა გადასარევათ. ყოველ ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამ დღეში ერთხელ შევესეოდით მტკვრის რომელიმე ტოტსა, დავწყვეტავდით და გაგვქონდა ერთი ამბავი. თევზს მუდამ ბლომად ვიჭერდით. იქაც კარგად გამოვიზეზებოდით ხოლმე და შინაც კაი ნანადირევით ვბრუნდებოდით.

უნდა გენახათ, თუ რა სიამაყით დავდგამდი ხოლმე თევზით სავსე კალათას მამაჩემის წინ: ახლაც იტყვის, რომ ტყუილად ვაღამებ მთელ დღესა!

ძალიან ხშირად საქონელიც დამიდიოდა მინდორში. ამნაირ რამეზე არ დავიზარებდი არასოდეს. ეს ჩემ გართობას ხელს არ უშლიდა: დავჭრიდი ბლომად ნერგის მანეულებს, ჩამოვჯდებოდი ჩემთვის წყლის პირად და ვწნავდი კოხტა კალათებს.

რამდენჯერმე გარეული იხვის კვერცხებიც მიპოვია, მაგრამ რა სიხარულს მივცემივარ მაშინ, თითქოს იხვის კვერცხები კი არა – ნატვრის თვალი მეპოვოს.

სწავლა თითქმის აღარ მახსოვდა, მაგრამ ეს იმიტომ, რომ მუდამ იმედი მქონდა ჩემი თავისა. ისე კი პატარა მოთხრობები ხშირად მიმქონდა მინდორში და ვუკითხავდი ხოლმე ჩემ ტოლებს.

არა, ძალიან ბედნიერადა და სიამოვნებით ვატარებდი თითქმის ყოველ დღეს, ან რატომაც არ ვიქნებოდი ბედნიერი, როცა ჯერ მე ცხოვრებაზე ყურსაც არ ვიბერტყავდი.

მამაჩემი მართალია ღარიბი გლეხ-კაცი იყო-ამას კარგად ვხედავდი, მაგრამ ბავშურის დაუდევრობით მე მაინც აინუნში არ ვიგდებდი არაფერს.

მხოლოდ ერთმა დღემ უეცრივ გამომაფხიზლა ამ ბავშურის ნეტარებიდან.

საქმე ასე იყო.

მართალია ბატონ-ყმობა ორმოცი წლის გადავარდნილი იყო, მაგრამ ჩვენ თავადებს მაინც ბატონებს ვუძახდით.

აი ამ ჩვენს ბატონს მოურავათა ჰყავდა ერთი-ჩაჩანი.

სა თოდ ასე იყო მიღებული: ყველა დიდ მებატონ ეს ყოველთვის ჰყავდა ან ოსი, ან ჩაჩანი.

ერთ საღამოს ჩამოუარა ამ ჩაჩანმა საბატონო გლეხებს და მეორე დღისთვის ბატონის სამუშაოზე გაიწვია რასაკვირველია მუქთად. უარის თქმას ვერც-თუ შეჰკადრებდა ვინმე.

მამაჩემსაც დაუძახა ხვალის სამუშაოდ.

მაგრამ მამაჩემს ყანა ჰქონდა სათიბი. ერთი კვირით უკვე დაგვიანდა მისი მოთიბვა და ჭინახული სულ ერთიან ჩამწვარი იყო მზისაგან. უეჭველად უნდა გათიბულიყო იმ დღეს, რადგან მეორე დღეს კვირა იყო და ორშაბათამდე ხომ სულ ერთიან გაოხრდებოდა მოსავალი.

შემეხვეწა მამაჩემი:

— შვილო, მოდი შენ წაჰყე ბატონს სამუშაოში. იმათაც თიბვა აქვთ. შენ ფოჩხი აიღე და ისე მიჰყევი ნება-ნება. არავინ არ გაჯავრდება, თუ დიდებსავით ვერ იმუშავებ. პირიქით სხვებიც მოგეშველებიან და იოლად წაგიყვანენ. მე კი შინ ჩვენ საქმეს გავაკეთებ და ეს დიდი ხეირი იქნება ოჯახისთვისო.

მე მამაჩემი უზომოდ მიყვარდა და იმის ხათრს არასდროს არ გავტეხავდი.

მეორე დღეს, დილა ადრიან წამოვხტი, გავიდე ფოჩხი მხარზე და გავუდექი ბატონის ყანას.

მივედი. ჩაჩანმა ერთი მკვახეთ შემომიტია: შენ ვის მაგივრათა ხარო?

მე ავუხსენი. მაგრამ იმას სრულიადაც არ ეპაშნიკა თორმეტი წლის ბავში დიდი მუშა კაცის სანაცვლოდ.

— შენ რა უნდა გამიკეთო ძუძუმწოვარა ღლაპმა და სრულ მუშაში კი უნდა ჩამეთვალოვო.

მე ვუთხარი, რომ არავის არ ჩამოვრჩები მემეთქი მუშაობაში.

მართლაც შუადღემდე სულ ციბრუტივითა ვტრიალებდი. შუადღის შემდეგ სიცხემ როგორღაც მომქანცა და ერთიან სულ მოვითენთე.

თიბვის დროს სულ ჩაჩანი უკან მოგვდევდა და მკვახე ხმით გვაქეზებდა სამუშაოზე.

უცებ სამ კურდღლის ბაჭიას წავაწყდით, ორი დიდმა კაცებმა დაიჭირეს. ერთსაც მე გავეკიდევი და მაშინათვე დავიჭირე. სიხარულით ცას დავეწიე: მიხაროდა დღევანდელი დღე არ გამცდენია მეთქი.

მაგრამ უყურეთ, ადამიანი რომ ურჯულო იქნება! ადგა და ი ჩაჩანმა სამივე ბაჭია წაგვართვა. რამდენი ვეხვეწე, ერთი მაჩუქე მეთქი, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ იმან ჩემი მუდარა არ შეისმინა.

გული მომიკვდა და აღარ ვიცოდი როგორ მემუშავნა.

ჩემივე დაჭერილი ბაჭია წამართვა იმ ურწმუნომ, იმანა!

სიბრაზისაგან სულ ვკანკალებდი და ვატყობდი დიდრონი ცრემლებიც მომადგენ თვალებში, თუმცა ვსცდილობდი არ შეეტყინა ვისმე.

სულ ერთიან დამეკარგა ხალისი მუშაობისა და ერთზელა ვფიქრობდი:

— რატომ არა რცხვენია, რომ ამოდენა კაცმა ერთი კიკნელა ბავშვს ბაჭია წამართვა! ეს ჩუქების მაგიერია, თუ რა უბედურებაა!

ამ ფიქრებში ვარ გართული.

ამ დროს უეცრივ შემომიტია ჩაჩანმა, ჩქარა იმუშავეო და შემომიკურთხა.

მე მეწყინა და შევუბუზღუნე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ ე, რას ილანძღები! შენი გაზრდილი ხომ არ ვარ?

როგორ თუ რას ვილანძღები და თანაც კიდევ დედის სული შემიკურთხა. ეს კი ველარ ავიტანე და გაბრაზებულმა მეც შევაგინე.

იმან უფრო უარესად დამიწყო ლანძღვა, მეც პასუხი შევუტრიალე.

აქ უცებ გამხეცდა ჩაჩანი, იძრო ხანჯალი და გა"ოქანა ჩემსკენ. მე იმ წუთში გავაგდე ფოჩხი და მოვიგლიჯე სოფლისაკენ. მივრბივარ და მომდევს უკან ხანჯალ-ამოწვდილი ჩაჩანი. ჩემ ბედათ იმაზე მარჯვე გამოვდექი სირბილში. ველარ დამეწია, ადგა და გაბრაზებულმა ხანჯალი მესროლა. აქაც დამიფარა ბედმა და გადავურჩი ხათაბალას.

მოვედი შინ, მაგრამ ვაი ამ მოსვლას, სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ იყო ჩემ სახეზე.

სალამოზე ვუამბე მამაჩემს ყველაფერი. ბევრი ირტყა გულში მუშტი, მაგრამ ბატონის კაცს აბა რა მოევლებოდა. საციმბიროდ ხომ თავს ვერ გადასდებდა ამნაირ საქმეზე ოჯახის მოვალე კაცი.

მხოლოდ შევატყე კი უბედურად იმოქმედა მასზე, მთელ სალამოს სულ ჯირკზე იჯდა შელოცვილივით და არც ვახშამი უჭამია.

მე გული მომიკვდა ჩემზეცა და მამაჩემზეც, რომ ვიღაცა ჩაჩანმა ესე დაგვჩაგრა ჩვენ—ჩვენს ქვეყანაში და ხმა კი ვერ გაგვიცია ბატონის შიშით.

ის იყო და ისა. იმის შემდეგ სათოფეზე აღარ ვეკარებოდი იმ ჩაჩანსა. თვალს მოვკრავდი თუ არა, დღისავალზე მოვუვლიდი გარშემო.

მუდამ კი ვფრთხილობდი: პირისპირ არ შევეჯახო და არ გამლახოს მეთქი.

ეს რომ შემთხვევოდა მეორედ, მე მგონი წყალში თავს დავიღრჩობდი სიბრაზისაგან.

——

როგორც იქნა გავიდა ზაფხული.

მოვიდა ჩემი ქალაქში გამგზავრების დროც.

ჩამაკუჭნავა კარგად მამაჩემმა და გამიყენა ქალაქის გზას.

თან გული მწყდება სოფელზე, თანაც მიხარია ქალაქი, სწავლა, სამი-ოთხი თვის უნახავი ამხანაგები...

მაგრამ თან კიდევ რალაც მიღრღნის გულს. ჩემი გონება მოწამლულია. წრეულს როგორღაც უფრო მეტად მიხარია სოფლიდან წასვლა.

რათა? რა მიზეზია?

აი მოვიდა მატარებელი. საჩქაროთ ჩავჯექი რონდოში. მივაგდე ჩემი ხურჯინი კუთხეში და გადავეკიდე ფანჯარაში მამაჩემის გამოსამშვიდობებლად.

ამ დროს თვალი მოვკარი იმ წყეულ ჩაჩანს. იგი სადგურზე დასეირნობდა.

ერთბაშად გულში გამიელვა შურისძიების გრძნობამ. დამავიწყდა ყველაფერი და გაშმაგებით მოვრთე ყვირილი ჩაჩნისაკენ:

— ჩაჩანო! შე წუწკო! შე არამზადა! მხეცო! ავაზაკო! სისხლის მსმელო!

თან მოვრთე ისეთი ლანძღვა, რაც ჩემ სიცოცხლეში ჩემი პირიდან არ ამოსულა არც იმის წინეთ და არც იმის შემდეგ.

ვაგინებ, ვლანძღავ რაც ძალი და ღონე მაქვს.

დაჭკრეს მეორე ზარი—მე სულ ვაგინებ.

დაჭკრეს მესამე, არა ვცხრები, უფრო ვუმატებ.

გაშტერებული ხალხი შემომჩერებ.ა. მე კი სულ მეხივით ვაყრი და ვაყრი იმ წუწკს.

ის კი სახტად გაშეშდა ერთ ადგილას. აღარ იცის რა ჰქნას.

მატარებელი დაიძრა. მე მუშტებ მოღერებით უფრო ხმა მაღლა შევსძახი:

— წუწკო! წუწკო! ავაზაკო!

ჩაჩანი კბილებს აკრაჭუნებს, მაგრამ რალას დამაკლებს. მე მატარებელში ვზივარ, მივქრივარ და უკანასკნელ თვალის მოფარებამდე მაინც ვუგზავნი მუქარას და ლანძღვას.

ბედნიერად ვგრძნობდი ჩემ თავს.

ქალაქში როგორ ჩავედი, სიხარულისაგან არც კი შემიმჩნევია.

შემდეგ მთელი წელიწადი აღარ მომშორებია ეს საამო გრძნობა სამართლიანი შურისძიებისა.

ნიკორა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

ბავშთა სამაისო გაზეთი: „პირველი მაისი“.

სოციალური აღზრდის მთავარ-მართველობასთან არსებულმა სალიტერატურო-სამხატვრო სექციამ პირველი მაისის დღესასწაულისათვის გამოსცა ბავშთა გაზეთი **„პირველი მაისი“**. „პირველი მაისი“ ეს სარკეა, რომელშიაც ნათლად მოსჩანს ბავშთა შემოქმედების ყვავილები. გაზეთში მოთავსებულია მხოლოდ ბავშთა ნაწარმოები: ლექსები, მოთხრობები და მოგონებები, უმთავრესად პირველი მაისის დღესასწაულის შესახებ. საკმარისია გაზეთი გადაიკითხოთ, მაშინვე დარწმუნდებით, რომ თანამედროვე ცხოვრება ბავშის ცნობიერებაშიაც ჰპოვებს შესაფერ გამოძახილს. რევოლიუციონური მოძრაობა, ქვეყნების აფორიაქება, ახალი ცხოვრების დასაწყისი: ყოველივე ეს ბავშების, ნორჩი თაობის სულში სათანადოთ აღიბეჭდება.

გაზეთი იწყება სოციალური აღზრდის მთავარ-მართველობის ბავშთადმი მოწოდებით, რომელიც ამავე ჟურნალებში იბეჭდება.

ამ მოწოდებაში განმარტებულია **პირველი მაისის** დღესასწაულის მნიშვნელობა მუშათა მოძაობის საქმეში. შემდეგ განმარტებულია **ორი მაისის**— ბავშთა დღესასწაულის დანიშნულება. **ორი მაისი**— ეს ბავშთა შეკავშირების, ბავშთა რევოლიუციონური ძალების შეფასების დღეა. ბავშებს მოუწოდებენ **სწავლისაკენ, შრომისა და ცხოვრების გაგებისაკენ.**

შემდეგ პირველ გვერდზედვე არის მოწინავე „პირველი მაისი“ მე-15 შრომის სკოლის მოწაფის, **მარიამ ნადირაძისა**. წერილის ავტორს ეტყობა რომ ის საკმაოდ ერკვევა თანამედროვე რევოლიუციონურ მოძრაობაში. მშვენიერი, მარტივი და ლამაზი ენით არის განმარტებული **„პირველი მაისის“** მნიშვნელობა წარსულში, აწმყოში და მისი შედეგები მუშათა განთავისუფლების საქმეში. „ჩვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ვეცადოთ, აღვიჭურვოთ სწავლით და ცოდნით და როცა ჩვენი მამების და დედების რიგებს შევცვლით, გვერდში ამოუდგეთ მშრომელ ხალხს“ო, ათავებს წერილს მოწაფე ქალი. **პირველ გვერდზე** არის მოთავსებული ვ. ი. ლენინის სურათი. სურათის ქვეშ **თამარ სალარიძის** ლექსი: **„ლენინის ხსოვნას“** ლექსი ბავშური სიწრფელით და სიმარტივით არის აღბეჭდილი.

იქვე 20-ე შრ. სკოლის I ჯგუფის მოწაფე **თამარ ხიზანაშვილის: „მოგონება პირველი მაისის შესახებ“**. მოგონება გხიბლავს ბავშის გულუბრყვილო, წრფელი ტიტინით: „პირველ მაისობაში ჩემმა ძმამ ქალაქში წამიყვანა, იქ ვნახე, ბავშები მღეროდენ. მე მინდოდა მათთან ერთად მემღერა. მუსიკაც გავიგონე, ავყევი და არ ვიცოდი, როგორ ვმღეროდი.-“ო, სწერს პაწია თამარი, პირველი ჯგუფის მოწაფე.

მეორე გვერდი იწყება ლ. ტროცკის სურათით, სურათს ქვეშ არის ლექსი: **„მხიარული თბილისი“** (ამხ. ტროცკის ჩამოსვლის გამო) მე-22-შრ. სკოლის მოწაფე **ა. ბაწელაშვილისა**. ლექსი მშვენიერია, ავტორს ეტყობა უტყუარი ნიჭი და განცდა.

მოცქრიალდა გაზაფხული,
გადამწვანდა მინდორ-ბუჩქი,
და ეწვია საქართველოს
კომუნიზმის მტკიცე ბურჯი
და სხვა..

იქვე მე-15 შრ. სკოლის მოწაფე **შოთა ძიძიგურის ლექსი: „მუშა“**.

„ჩვენ ვართ მშრომელნი,
სიმართლის გზისა მაძიებელნი და მპოვნელიცა,
სიმართლის გზასა ვსჭედავთ ქარხნებში,
დავიმორჩილეთ მიწაც და ზეცა.“

ათავებს ლექსს შ. ძიძიგური რიხიანად. აგერ, მშვენიერი ლექსი **„პირველი მაისი“ ნიკოლოზ არონიშიძის**, ლექსი როგორც შინაარსის, ისე გამომუშავებული ფორმის მხრივ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. აგერ, კიდევ მშვენიერი მხატვრული ლექსი **„დილა ლილისა“**. მოთხრობათა შორისაც თითქმის ყველა სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს. მათ შორის უფრო ასლსანიშნავია: „ნიკოს პირველი მაისი“ მე-III შრ. სკოლის მოწაფე მარიამ ბარამაშვილისა. მოგონება წარმოადგენს პირველი მაისობის მიმოხილვას საზღვარ გარედ, რუსეთში და ჩვენში. მოთხრობა კარგად არის დაწერილი

„ქუჩის ბავშები“ მე-15 შრ. სკოლის მოწაფე გ. საათაშვილისა — მშვენიერი მხატვრული, სინამდვილიდან აღებული სურათია ქუჩის ბავშების ცხოვრებიდან. გაზეთში არის აგრეთვე მოწოდება ბავშებისადმი **„ბავშთა მეგობრების“** საზოგადოებაში ჩაწერისათვის. განმარტებულია საზოგადოების დანიშნულება უმწეო, ქუჩის უპატრონო ბავშების დახმარების საქმეში და მოუწოდებენ ბავშებს ჩაეწერონ აღნიშნულ საზოგადოებაში. არის წერილი მოწაფეთა კონფერენციის შესახებ, მოწაფეთა ქრონიკა, და სხვა. გაზეთში მოთავსებულია აგრეთვე შემდეგი სურათები: **ვ. ი ლენინისა, ლ. ტროიცკისა, მ. ცხაკაიასი, ბავშთა მიტინგი თავისუფლების მოედანზე, 20 მაისს 1923 წელს.** „სასადილო კოჯრის ახალშენში, და „კოჯრის საზაფხულო ახალშენი“. ეს პირველი საბავშო გაზეთია ჩვენში, რომელმაც ნათლად გვიჩვენა თუ როგორ ეხმაურება ჩვენი შრომის სკოლების მოწაფეობა თანამედროვეობას და უნდა ვსთქვათ სასიხარულოდ, რომ აქ ყალბ გრძნობებს ადგილი არ აქვს, აქ ყოველი სტრიქონი ბავშის მიერ განცდილი, წრფელი გრძნობით გამთბარია. ეს ნათელი საბუთია, იმისი, რომ ჩვენი ბავშვები დაჯილდოებულია ნიჭით, შემოქმედებითი უნარით, რასაც უნდა ხელმძღვანელობა და სიფრთხილით მოპყრობა. სასურველია, რომ ასეთი საბავშო გაზეთები ხშირად იცემოდეს, სადაც ბავშებს შეეძლება მოთავსონ თავიანთი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები, რაც სხვა შორის ბავშთა ძალების შეკავშირებასაც შეუწყობს ხელს.

მკითხველი.

ამ წერილის მიზანია, „წითელი სხივის“ რედაქცია უფრო დაუახლოვოს და კარგად გააცნოს თავის მკითხველებს; ამიტომ რედაქცია მიმართავს მათ თხოვნით, უპასუხონ ქვევით მოყვანილ კითხვებზე.

რომ ჟურნალი უფრო საინტერესო გახდეს მკითხველებისათვის, საჭიროა რედაქცია იცნობდეს თავის მკითხველებს, იცოდეს მათი სურვილი, მათი მისწრაფება, ინტერესები და მიმართულება. თუმცა რედაქცია იღებს თავის მკითხველებისაგან წერილებს, მაგრამ რიცხვი ამ წერილებისა მცირეა შედარებით ყველა მკითხველების რიცხვთან, და ამასთან ამ წერილებში ძლიერ მოკლედ არის აღნიშნული პიროვნება მკითხველებისა. რედაქცია ითხოვს პასუხის მოცემას, როგორც ხელის მომწერლების, ისე საზოგადოდ ჟურნალის მკითხველებისგანაც და, დიდი მადლობელი იქნება, თუ გამოსთქვამენ თავის აზრს ყოველივე იმ კითხვებზე, რასაც დამოკიდებულება აქვს ჩვენ ჟურნალთან. ეს გამოიწვევს მკითხველების დაახლოვებას რედაქციასთან და მისცემს საშუალებას, რომ ჟურნალი გახდეს ისეთი, როგორიც მათ სურთ.

კითხვები *)

1. რამდენი წლისა ხართ?
2. სად სწავლობთ?
3. ხართ თუ არა პიონერი თუ ხართ რომელ კოლექტივში?
4. გყავთ მშობლები და თუ გყავთ რას აკეთებენ?
5. სად სცხოვრობთ?
6. კითხვა გიყვართ?
7. წაკითხულ წიგნებიდან, რომელი მოგწონთ?
8. რა შინაარსის წიგნების კითხვა უფრო გიყვართ: მოთხრობები, ზღაპრები, ლექსები, ბუნების მეტყველობა, მოგზაურობა, გამოჩენილი კაცების ცხოვრებიდან და სხ.
9. რა მოთხრობები უფრო მოგწონთ: ბავშების თუ დიდების ცხოვრებიდან?

---

*) პასუხს გამოგზავნით „წით. სხივის“ რედაქციაში ფოსტით, — რუსთაველის პროსპ. განათლების სახ. კომისარიატი.

10. დიდი თუ პატარა მოთხრობები?

11. „წითელ სხივში“ დაბეჭდილი მოთხრობებიდან, რომელი უფრო მოგეწონათ და რად?

12. საჭიროა თუ არა იყოს „წითელ სხივში“ განყოფილება „გასართობი“.

13. საჭირო იქნება თუ არა „საფოსტო ყუთი?“ (პასუხის მიღება რედაქციდან, მიწერ-მოწერის გამართვა ერთმანეთში ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებ მკითხველთა შორის, ერთი ერთმანეთთან გაცნობა და სხვა ბევრი რამ).

14. რომელ ჟურნალს კითხულობთ კიდევ, გარდა წითელი სხივისა.

გასართობი

ქამრის მალვა.

(თამაშობა წარმოდგენილი გ. გიორგიძისაგან.)

მოთამაშენი სდგებიან წრეში ზურგით გარედ. ხელები უკან უჭირავთ. ერთი მოთამაშე სდგება შიგ წრეში. მოთამაშეებს აქვთ ერთი ქამარი, რომელსაც წრეში მდგომი ბავშები, შუაში მდგომი ბავშების შეუმჩნევლად, ერთმანეთს გადასცემენ. წრეში მდგომი კი სცდილობს იპოვოს თუ ვის აქვს ქამარი. როდესაც წრეში მდგომი დადგება ზურგით მის წინ, ვისაც ქამარი აქვს, უკანასკნელი დაარტყამს ქამარს პირველს და შეუმჩნევლად და სწრაფად გადასცემს გვერდზე მდგომ ამხანაგს; ასე რომ, როდესაც ის მოიხედავს და უსინჯავს ხელებს დამრტყმელს, ამ დროს უკვე სხვა არტყამს მას ზურგში. თუ წრეში მდგომმა დაიჭირა ვინმე ქამრით ხელში, მას ის აყენებს წრეში და თვითონ კი დგება მის ალაგზე. შემდეგ თამაშობა ისევ გამეორდება. ამ თამაშობაში შეიძლება მიიღოს მონაწილეობა 8—20 მოთამაშემ.

როგორ გაიყო ორმა გლეხმა ღვინო?

ორ გლეხს ჰქონდა სამი ქვევრი: ერთი რვა კოკიანი, ღვინით სავსე, მეორე—ცარიელი ხუთ კოკიანი, და მესამეც ცარიელი სამ კოკიანი; სხვა ჭურჭელი მათ არა ჰქონდათ, მაგრამ მაინც კიდევ ამ ქვევრების შემწეობით თანასწორად გაიყვეს ეს ღვინო.

აბა, როგორ მოახერხეს გლეხებმა ამ ღვინის გაყოფა?

შარადა

(წარმოდგენილი კარბელის მიერ)

ციმბირის ულრან ტყეებზედ
მდინარე მიიკლაკნება;
ბოლოში ასო მოვაკლოთ
შარადა ჩაიკლაკნება.

სცენაზედ გამოვიყვანოთ,
ერთი პატარა ასო რამ,
და პირველს ნაწილს მივადოთ,
რომ ვერ გაიგოს ქანდარამ.

ერთად გვარია, ჩაგრულთა
სათაყვანებელ ბელადის,
მრავალ-ჟამიერ მის ხსოვნას
მშრომელი სცოცხლობს სანამდის.

ტფილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებუსი.

წარმოდგენილი დ. კარბელის მიერ

1924 წ.

გამოდის
უოველდღიური საუმაწვილო დასურათებული
ჟურნალები

მოზრდილთათვის **წითელი სხივი** ელიჩიდ 1

მცირე წლ. **ნაკადული** წელ: მე-XX

ჟურნალის გამოწერა ს. ს. ს. რესპუბლიკის ყველა სკოლებისთვის სავალდებულოა.

ლენინის სახელოგის საქართველოს გავშთა კომუნისტური ჯგუფების ოოველი წევრის, ორგანიზაციის ოოველი კოლექტივის, გავშვთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, გიგლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწეროს

„წითელი სხივი"

და

„ნაკადული"

ხელის მოწერა მიიღება თვიურად

ცალკე	„წითელი სხივი"	—	40 პ.
„	„ნაკადული"	—	25 პ.

გადაგზავნა ხელის მომწერის ხარჯით

მისამართი: ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 5, განათლების სახალხო კომისარიატი „წითელი სხივის" და „ნაკადულის" რედაქცია.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

შეკ. № 105. — ტირ. 3000.